და რომ იყოს გასაგები

მინდა მოგცე

კახაბერ ჭიჭინაძე

კახაბერ ჭიჭინაძე

და რომ იყოს გასაგები

მინდა მოგცე

თბილისი
2012

ილუსტრაციები: **გიორგი–იური სალუქვაძე**

ISBN 978-9941-0-4966-8

წინასიტყვაობა

ეძღვნება „ქართველ“ ახალგაზრდობას, რომელთა სულებზე ჯერ კიდევ დროის უკუღმართობამ თავისი კვალი ვერ დატოვა, ვერ წაბილწა და ვერ დაიმორჩილა.

გახსოვდეს შენ უნიკალური ხარ, ერთადერი და განუმეორებელი.

ავს უნდა რომ დაგარწმუნოს, რომ შენ არაარაობა ხარ, ბიოლოგიური პროცესის შედეგი, შემთხვევითობის შედეგი, ცხოველური წარმონაქმნი, სექსის შედეგი.

სექს და სიყვარულს დღეს ხომ ერთ ჩარჩოში აქცევენ.

არამც და არამც შენ სიყვარულის შედეგი ხარ, უფლის სიყვარულის შედეგი და მისი ქმნილება. (ვისი დედ-მამისიც არ უნდა იყო).

სხვა მხრივაც დაიწყებენ შენს სულში ხელის ფათურს, დაგარწმუნებენ რომ ყველანი ერთია, ყველანი ყოფილი მაიმუნები ვართ, რომ ოჯახი და წესები სისულელეა, მამა პაპათა ადათწესები სამარცხვინო, ქალიშვილიბის ინსტიტუტი დრო მოჭმული.

რათა დაგიმონონ!

შეეცდებიან შენს სულში.....,

მერე შენც გაიძულებენ სხვის სულში....,

... რათა საბოლოოდ დაგმო გაჩენის დღე, შემქმნელიც და შემოქმედიც.

ამიტომ გაძლევ გასაღებს რომ შენი თავი იპოვო,

იპოვო შენი არასებობის მიზანი,

შენი მისია.

გფარავდეს უფალი!

P. S. ეს არ არის სალაღობო პოეზია. ეს ჩემი წერილია შენდამი, მას სიღრმისეულად ჩასწვდომა ჭირდება. ყოველივე საკმაოდ რთული გასაგებია.

რთულია... რთული... ქა რთული-ც რთულია, ხოლო ქართველობა ნიშანი (მიზანი).

მაგრამ თუ შეძელი აზროვნებით ამ კარის გახსნა, შენს წინ სხვა ჭეშმარიტება გაიხსნება „მარტივი“.

მოკლე ავტო ბიოგრაფია

დავიბადე 1971 წლის 30 იანვარს 23: 00

ალბათ ელოდებით რომ დავწერ სამი წლისამ უამრავი ლექსი ვიცოდი, ხუთი წლისა უკვე საკუთარ ლექსებს ვთხზავდი, ხოლო შვიდისა ვწერდი უამრავ მოთხრობებს და ლექსებს რომლებიც ჟურნალ გაზეთებში ქვეყნდებოდა. არაფერი ასეთი არ ყოფილა. ვიყავი უბრალო ბავშვი.

ერთადერთი რაც ბებიამ მასწავლა მოსმენა იყო, ყოველთვის მიყვებოდა მოთხრობებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, გაგონილს თუ მის მიერ შეთხზულს. მოსმენამ ფიქრები შვა, ჩემს თავში ვამართლებდი თუ ვამტყუნებდი გმირებს, გარჩევაც ვისწავლე მართლის თუ ტყუილის, ღირსეულის – უღირსის, ერთგულის – ორგულის, ვაჟკაცის – მხდალის, ფიქრებმა აზროვნება შვა. (თემიდან გადაუხვევ, აუცილებლად უამბეთ ბავშვს პატარაობიდანვე ზღაპრები თუ მოთხრობები რადგანაც თავიდანვე განუვითარდება აზროვნების უნარი ავის და კარგის გარჩევა. რაც მთავარია მოსმენას ისწავლის. დღითიდღე უფროდა უფრო აკლდება ჩვენს საზოგადიებას მოსმენის უნარი და იმიტომაც არის რომ არ გვესმის ერთმანეთის)

სკოლაშიც ზრდილობის და მოსმენის უნარის გამო მიწერდნენ კარგ შეფასებას და არა ჩემი ჭერმეტყველების გამო, ლექსის სწავლა ხომ ჩემი აქილევსის ქუსლი იყო.

ერთადერთი რითინაც ვხელმძღვანელობდი იყო „ნუ მოექცევი სხვას ისე როგორც არ გინდა რომ მოგექცენ“ ამიტომაც დედაც არავისთვის შემიგინებია და ბუნების კანონზომიერებაა თუ დამთხვევა არც არავის მოუყებებია ასეთივე შეურაწყოფა.

ზუსტად არ მახსოვს 10–12 წლის ვიყავით ბორჯომში თუ ლიკანში რომ ვისვენებდით. მე, ჩემი ძმა და დედა „ფოიეში“ ვიყავით. ჩვენს სასტუმროში რამოდენიმე შავებში შემოსილი პიროვნება კიბეზე ამოდიოდნენ. დედამ „მოდით სწრაფადო“ დაგვიძახა ორივეს, ხოლო თვითონ წინ გაიჭრა, მივიდა კიბის უჯრედში

ამოსულ პირთაგან პირველს და უთხრა „შვილები და მილოცე მამაო“, მერე ჩვენ ჩაგვჩურჩულა ჯვარზე და ხელზე აკოცეთო (ემთხვიეთო რომ ეთქვა ვერც გავიგებდით) ჩვენც შევასრულეთ დედის თხოვნა, უცხომაც დაგვლოცა და კიბეს გაუდგნენ მაღლა. თვალს რომ მოეფარნენ ვკითხეთ „დე ვინ იყვნენ ესენი? „ილია მეორეა ჩვენი პატრიარქი – გვითხრა მოკლედ ჩურჩულით თუ მორიდები. იმ დროისთვის ეს ჩურჩული ხმამაღალი ლაპარაკს უდრიდა.

მერე გავიგე რანი ვართ ვინ ვართ, რას ნიშნავს ქრისტიანობა მართლმადიდებლობა, რისთვის ეწამა ქრისტე, ნენლნელა ეკლესიაშიც ვიწყეთ სიარული სანთლის დანთებაც ერთადერთი ლოცვაც ვისწავლეთ „მამაო ჩვენო“.

ჯვარს ერთადერთი მიზეზის გამო არ ვატარებდი, მეგონა არ ვიყავი ღირსი მისი ტარების. ვფიქრობ როდესაც ჯვარი გაქვს უფრო მეტი პასუხისგრძნობაა ყველაფერში ყველას მიმართ, მეტი მოთმენა, პატიება, ნებისყოფა და ღირსებაა საჭირო. ძალზედ მძიმეა ღირსეულად ჯვრის ტარება.

ბევრჯერ მოუციათ შენიშვნაც მეგობრებს და ახლობლებს ჯვარს რატომ არ ატარებო.

ბოლოს როდესაც 40 წლის შევსრულდი ჩემმა პატარა ლიზიმ მომიტანა და დამკიდა ჯვარი, მის შემდეგ დავიწყე წერაც, ვიცი ზოგჯერ ურითმოა, მარცვლების წყობაც და რაოდენობრივობაც არ არის გამართული, მაგრამ მე მინდა უფრო აზრი, გულის ტკივილი თუ სიღრმისეული ჭეშმარიტება გადმოგცეთ, ვიდრე ვიწრო კომუნალურ დონეზე დაწერილი ლამაზი ლექსი. ასე რომ მომიტევეთ თუ გალაქტიონივით გენიალურად ვერ დავწერე, ვაჟასავით გრძნობით ანდა ტატოსავით ლამაზად.

გიორგი, იური სალუქვაძეს!

შენ ხარ თეძგი, წყალ მდინარე
ღვარ ცოფვარი მოვარდნილი,
ფდაბნოსარ ხომ მიგიშვენ
სულ წაგლეკავ ვარდნაფქვნილ,
ფერეა ფნდა ზომით მარხეყვა
ხომ მოალხარ ნაყოფ ქმნილ
ზოგსა ანგელს ხშირი წვიმა
ლხვასა ოდნავ დანამილ

მე ვარ კარი მშენებელ,
ზოდიაქოს ამის ქმნელ,
მის წყალ (შ) ობარ ისევ ვალ
ფნდა მოვარწყათ მისი ვალ
და ფვალისწყალ დავახვევდითო,
ლარისაძე ქართა ვალ.

21. 08. 2012

ქართული ანბანის ორმოცივე ასო ნიშანი მოხატულ შემკობილია გიორგი-იური სალუქვაძის მიერ!

ვენახი

Ო მომიცია დალოცვილი ვენახი* ჩემი,
მას მოუარე, მასში ოფლი ჩაღვრილა ბევრი,
ისე შეჰყარე რომ ამ მტევანს** არ აკლდეს ერთი,
მისი ნათელით დაამარცხე ყოველი ბნელი,

და ეს ვენახი იქმნეს თითით საჩვენებელი,
ზეციდან მადლის სიყვარულის მაჩვენებელი,
გარშემო ქვითა შემოსილა მისი კარიბჭე,
ქვევით წმინდად შერაცხულა მისი საუნჯე.

ბევრი ეცადა მოეშალა ფესვი ვაზისა,
თუმც სამარეში ჩაიტანა დარდი*** მაგისა,
მხოლოდ შენთვის დაწერილა ასობით ტომი,
შენს თვალწინ ისევ ინაცრება ყოველი რომი.

ესე ვენახი დღეს არს ობოლი ქვეყნისა ზედა,
არა ჰყავს შემწე და ქომაგი გარდასულ დღეთა
ხოლოდ შენ ერთგან დაიბადა მრავალი ტომი,
დრო მოვა შენს ფეხთ დაიჩოქებს ყოველი ტომი.

სამების ენით**** განირჩევა ხორბალი – ფეტვი,
აიწონება სინანული, მცირე თუ მეტი,
სამართლიანად მიიღებს ყველა სირცხვილს და საქებს,
შუქი ნათელი მოედება მხოლოდ შენს ტაძრებს.

---

* ვენახი – ვგულისხმობ ენა ქართულს.

** მტევანი – ასო ქართული.

*** დარდი – ვიგულისხმე შაჰ აბასის დარდი, რომელმაც სიკვდილის წინ თქვა: „...ორი რამ დარჩა დაუმარცხებელი – სიკვდილი და ქართველი ერი-ო“

**** სამების ენა – ენა ქართული,ლაზარეს ენა: დამწერლობით ასომტავრული,ნუსხური,მხედრული.თვითოეულში 40 ასო-ნიშნით. ი.ხ. გვ. 39,გვ 40. (სულხან საბა ორბელიანი. იური სალუქვაძის ნაშრომი)
„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა სანწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან! „ იოანე ზოსიმე.

რომელ ტვირთსაც ვერ ზიდავ, ის ტვირთი არ უნდა მოიკიდო კაცმა,
თორემ ჯანმრთელობასაც გაიფუჭებ და დასაცინიც გახდები.
ექიმი ხარ, ვექილი თუ მღვდელი უნდა გაითვალისწინო
იმ ჯვრის სიმძიმე რომელსაც აიღებ და თუ აიღებ
ბოლომდე ღირსეულადაც უნდა ატარო.

ზღვა დაიცალა წვეთ წვეთად იცი?

გუშინ ვიყავი ეკლესიაში,
სიხარულ ვპოვე მორწმუნე ერის,
გავსებულიყო ტაძარი დიდი,
ტევა არ იყო ხალხისა შიგნით,
მეც გავიკვალე გზა სანთლებისკენ,
ვპოვე ადგილი კუთხეში რიდით,
და ვანთებ სანთელს, ვჩურჩულებ ჩუმად
გვიმრავლე რწმენა, გვიმრავლე ერი,
პირჯვარს გადვიწერ, თავს დავხრი ისევ,
სანთელს გავუმხელ ჩემს გულის ტკივილს,
მერე გავხედე დანთებულ სანთლებს,
ერთი მათგანი აღარა ტირის,
ვიღაცის ლოცვა, ვიღაცის დარდი,
ვიღაცის თხოვნა ვიღაცის ფიქრი,
რით დავეხმარო მოყვასის ლოცვას?
ჩემი სანთლიდან გავეცი ცეცხლი,
კვლავ გავაცოცხლე ლოცვა იმისი,
მცირედით მაინც დავუდექ გვერდით,
ისევ გავყევი ფიქრებით ზეცას,
გულიც აყვება სანთლების ციმციმს,
მერე მოვიდა ვიღაც გოგონა,
ხელში ეჭირა კალათა რკინის,
დაჰყვა დანთებულ სანთლების კრეფას,

ოთხი რომ მოხსნა უბერა სული,
ვერ მოერია სანთლის ერთობას,
დამთარსა ამან იფიქრა გულში,
ისევ უბერავს სულსა ძლიერად
კვლავ ვერ ჩააქრო ოცნება სხვისი,
მესამე ცდაზე ისევ დაბერა
დაიმორჩილა სანთელის ალი,
მერე ჩაყარა სოკოებივით
როგორც ბნელ ტყეში პატარა ალი
რა გინდა გოგო სანთლისგან მარი,
ეს ხომ ოცნება ვიღაცის არის,
და მომეძალა ფიქრები ავი,
სანთელის ფასი ნეტა რა არის?
ნუთუ ბიზნესი ამაშიც არის?
ნუ განსჯი ცოდვა ეყოფა თავის,
ამ რეალობას ვერ ვშველი ამით,
ვიცი ვერ შეცვლი ჩემს რწმენას აწი,
მაგრამ ურწმუნოს მიეცი შანსი
გამოტრიალდეს წავიდეს სახლში,
თითქოს მერე რა? რა მოხდა ამით,
ერთი ურწმუნოც წავიდეს სახლში,
კიდევ ერთ ვაზსაც გაუხმეს ძირი,
ზღვა დაიცალა წვეთ წვეთად იცი?

1991წელს – გამოცხადებული დამოუკიდებლობის პერიოდში, ერს იმედი და რწმენა მიეცა. ხალხი მასიურად შემოტრიალდა ეკლესიისკენ, მაგრამ მალევე გამოჩნდნენ სამნი, რომლებმაც ილიას მკვლელობაზე მეტი, საქართველის მკვლელობა განიძრახეს და ესროლეს კიდეც. მაშინ სამართლიანობამ – უსამართლობა შეცვალა, შუქმა – უშუქობა, იმედმა – უიმედოობა, გაზმა – უგაზობა, რწმენა – ურწმუნოებამ. სწორედაც მაშინ გააქტიურდნენ რასელისტური მოძრაობის წევრები: ხალხს „წრმენას“ და „იმედს“ უსახავდნენ ამშვიდებდნენ ათვინიერებდნენ. მაშინაც ბევრი სასულიერო პირი „შეშფოთებას“ გამოთქვამდა ამის გამო. მაშინ ერთმა სტუდენტმა მოუწოდა სასულიერო პირებს გამოსულიყვნენ ეკლესიიდან, საღამოთი უბან უბან (უდენობისგან და უგაზობისგან) ეზოებში ცეცხლ დანთებულ ხალხთან მისულიყვნენ და სიყტვას-სიყტვა დაეპირისპირებინათ. თითქოსდა ყველანი მართლმადიდებელნი ვიყავით, მაგრამ ზოგს ძლიერი ფესვი აღმოაჩნდა ზოგს სუსტი, სწორედაც ამ სუსტ ფესვთან იყო მისვლა საჭირო და პატრონობა, რომ ამ მართლმადიდებლურ ბაღში სხვის ფესვს არ გაეხარა. მაგრამ დარჩა „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, თუმცა რა სტუდენტს, მეორე ილიასაც კი არ უგდებდნენ ყურს.

ვუძღვნი ყველა დროის ფარისევლებს!

ერთდროსა ჩვენცა დავდიოდით ასე კარდაკარ,
და სიტყუას ღვთისას ვთესდით ირგვლივ თავგამეტებით,
დღეს კი რას ვხედავ, ჩამომჯდარხართ თბილად ნარნარად
მხოლოდ მოსავალს ითვლით სამჯერ გადამეტებით,

საკმეველს ჰყიდი, სანთელსა ჰყიდი, ხატსაც კი ჰყიდი,
გადააქციე სახლი ღვთისა ისევ დახლებად,
ვხედავ არა გაქვს, არც ღმერთისა, არც კაცის რიდი
მერე იპარავ – დანთებულ სანთელს – ჰყიდი ახლებად.

როგორც ზარმაცი გლეხი, ისე წამოწოლილხარ,
მხოლოდ მოსავალს ელი ხისგან, ერთხელ დათესილს,
ხეს როცა უჭირს, ვერა მოვა რა, შენთან სათხოვრად
უნდა მიხვიდე მოეფერო აპკურო კირი.

და რო დაბერავს ქარი ისევ დასავლეთიდან,
მოიტანს მარცვალს, ჩვენთვის უცხო ქვია სახელი
არც კი განაღვლებს სარეველა მოედო ბაღნარს
და ამ თესლიდან მოსავალსა ნეტა რას ელი? *

მერე კი იტყვი, გაიმეორებ ცოდვას ადამის,
სხვას დააბრალებ უფლის ბაღის გავერანებას,
მარცვალს, მოტანილს, ქარის ქროლვას გადააბრალებ,
უფალი გკითხავს შენ მებაღეე ჩრდილში გეძინა?

---

* რასელი – ჩარლზ ტეი რასელი „იეღოვას მოწმეთა“ სექტის დამაარსებელი.

ვერ დავიძინებ დედა!

ვერ დავიძინებ, როდესაც სხივი,
ჩემს ფანჯრის რაფას ეალერსება,
ვერ დავიძინებ, როდესაც სიო,
ფარდებს არხევს და ეთამაშება,
ვერ დავიძინებ, როდესაც სითბოს
გულუხვად გასცემს წმინდა სამება,
ვერ დავიძინებ, როდესაც შენი,
მართალი სიტყვა, გულს ეამება.
ვერ დავიძინებ, როცა არს ჟამი
ასრულდეს ნატვარა, შენებ ნებისა
ვერ დავიძინებ, როცა დაიშვა
დრო, საქართველოს გაბრწყინებისა

რა დამაძინებს, როცა იუდა
ოცცაათ ვერცხლად ყიდის იესოს
რა დამაძინებს, როცა მომხვდური
დაიარება და დათარეშობს
რა დამაძინებს, როცა თვალთმაქცი
მართალი კაცის დაჩაგვრას ლამობს,
რა დამაძინებს როცა არწივი,
გოკორტნის გულღვიზლს,
და ამით ხარობს.

რა დამაძინებს როცა სიმართლეს
კვლავინდებურად ესვრიან ტალახს,
რა დამაძინებს როცა ცბიერი
მახინჯი სულით დაცინის ალალს.

მე დავიძინებ, როდესაც მთვარე,
ჩემს ფანჯარასთან გაცურავს ნელა,
მე დავიძინებ, როდესაც სიო
ჩურჩულით, წყნარად მიმღერებს ნანას,
მე დავიძინებ, როდესაც წვიმა,
კვლავ გააგრილებს გადაღლილ ასფალტს
მე დავიძინებ, როცა სანთელი
ჩაიწვება და გაჰყვება ნატვრას,
მე დავიძინებ, ისევ ჩურჩულით
და გთხოვ იგივეს რასაც გთხოვ მარად.
რასაც გთხოვ მარად, რასაც გთხოვ მარად.

შეგონება

ერთხელ ერთმა ბრძენმა კაცმა დამიტოვა სიტყვა გრძელი,
რაც რომ უფრო ნასწავლია მშიშარაა უფრო ერი,
ახსნა არც კი მოაყოლა მიმატოვა ფიქრით ბნელში
დამიტოვა გამოცანა, ვეძებ პასუხს კახაბერი.

რაც რომ უფრო ნასწავლია მით შორდება უფალს ერი,
ხდება უფრო კადნიერი, ხდება უფრო ბიწიერი,
შიშსაც სწორედ ესა ბადებს უღმერთობა ჟამიერი,
გონიც სადღაც გვერდზე გარბის, უაზრობა მისმიერი.

მხოლოდ ერთი ერი არის, რომელიც არს თვინიერი,
ნასწავლობით არ შორდება უფალს იგი გონიერი,
მაგ ერისთვის დღეს ვლოცულობთ, მიეც რწმენა სულიერი,
მშობელ დედად წოდებული, იმერ ამერ მშვენიერი.

თუ ამ ერმა მოგცა ნდობა, უნდა იყო ბედნიერი,
საგროვებლად მხოლოდ გსურდეს სიყვარული წესიერი,
გული გქონდეს მუდამ სავსე, ხელნი გქონდეს ცარიელი,
ჯვარის ზიდვა ძნელი არის, თავი უნდა გონიერი.

როგორც შვილი უგუნური ანიავებს მამის დოვლათს,
ისე ერის სიყვარული გამოსცალე ცოტა-ცოტა,
რაღათ გინდა ნასწავლობა, თუ დაკარგე მისი წყობა,
ენას ძვალი არა აქვსო ამბობს ერთი მარ-იოტა.

არა ზღუდავს ადამიანს ზეცა თავის არჩევანში,
რჩევას აძლევს თვალებს უხელს და ანახებს თეთრსა ბნელში,
მერმე კაცმან გადაწყვიტოს გზა უფლისა თუ ქვესკნელის,
ვინც არადანს შეუზღუდავს – კაცსა – იყოს მუდამ ბნელში.

ეს პირველი კანონია თავისუფალ არჩევანში,
მეორე კი სახდელია მიეც სულსა ათში ერთი,
მოყვასისა თანადგომა ისხამს ნაყოფს ასცამეტი
არა შვენის სახელმწიფოს ართვას კაცსა მასზე მეტი.

ეკლესიას უნდა შენგან! კარგო, მხოლოდ არაფერი,
მისგან უნდა წამოიღო! გულით, მადლის ყველაფერი,
თუ ისმინე არ გაიგე ფუჭი არის დგომა შენი
ისევ ისე წახვალ უკან როგორც მოხველ ცარიელი.

P. S.
უყვარხარ უფალს და უნდა რომ შემოტრიალდე,
სწორად გაიგო ამ ცხოვრების მიზანი არსი,
როდესაც მთხოვე ხომ ნახე რომ გადაგარჩინე,
იქნებ გეგონა მაშველის ან აქიმის ხელი?

თუ არ შემიცნობ, მაშინ ნახავ ამაოებას,
მაშინ გაგწირავ როდესაც საფრთხეს არც კი მოელი,
ირგვლივ მრავალნი იქნებიან მაშინ საშველად,
მაგრამ ვერავინ ირგვლივ მყოფნი ვერას გიშველის.

ტიტანებმა უკვდავება გვაჩუქეს.

რატომ ტირის გული ასე ყოველ დღე,
ალბათ მიტომ! ვერ გიჩვენეთ მადლი,

გამოფინეთ დროშა დავითიანის,
იქნებ სისხლი აგიდუღდეთ ძარღვში
იქნებ გულმა ბაგაბუგი დაგიწყოთ,
ამ ყიჟინის დაფდაფების ხმაში,
შემოკარით ყველა ზარი სამების,
რომ გაგცაროთ ჟრუანტელმა ტანში,
რომ მოგადგეთ თვალზე ცრემლი კეთილი,
სიამაყის ფრთა შეისხით აწი
გამოფრინდით შეეგებეთ გიორგის,
თეთრი რაშით მოგვადგება აწი,

აქვე არის ილიაც და აკაკიც,
ნუ გგონიათ ძინავთ მუდმივ ძილით!
აგერ შოთა მთაწმიდაზე შემდგარა
გადმოჰყურებს მამა დავითს თბილისს

აგერ ვაჟაც ისევ ისე დამდგარა
არ ისვენებს ეფერება ტირიფს
გალაქტიონს ქარი წვერებს უწეწავს,
ტატოც აქ დგას მოწყვეტილი ტანით,
ეთიმ-გურჯი ცხვრით მუხლებზე დამდგარა,
ევედრება მამას, დედა თბილისს
მოდი ნიკალ შენებურად ჩაგვხატე,
სალოცავად დავუტოვოთ თბილისს.

რომელია ამ ერთობის მომრევი?
შახ აბასი? თემურ ლენგი? ვლასი?
ტიტანებმა უკვდავება გვაჩუქეს,
მათი ხმალი მიწამ ჭამა ჟანგით
მათთან ბრძოლამ ჩვენ გმირები გვაჩუქა,
თვითონ ნახეს სირცხვილი და მარცხი,
ჩვენმა რწმენამ წმინდანები დაბადა,
მათმა რწმენამ უფლის რისხვის ხარკი.

ადვილია ლექსის წერა უბრალოდ
თუ კი გიყვარს სამშობლო და ხალხი.

წერილი, ფიზიკა, თუ არა მეტი (18)

რუსთველმან წერილ მამწერა
ვაზი ჩავყარე ურჩიო, *
ვერა დააკლო დუშმანმა,
თუმც ხმლით უკაფა წელიო,
მისი ქარვისა მტევანი, **
გადასწვდა შვილის შვილსაო,
დაწურვით საწნახელიდან
ჩაედინება ჭურსაო, ***
მისი დალევით ყოველი
ეზიარება ბრძენსაო, ****
თან დაგიტოვეთ წერილი
თუ ჩაწვდა თქვენსა ყურსაო,
ამოჰყავს გველი ხვრელიდან
სიტყვას მოუბარს ტკბილსაო,

იქნება რამე გამამრჩა,
არც ეგ მეწერა წიგნსაო,
ძუ რომ ხვადისა სწორია,
უნდა სწავლება ლომსაო?!
თუმცა მოსულან, ამასაც,
უცხონი გასწავლიანო!
როდისა იყო ბაბუას
შვილიშვილ უწერს წესსაო!

---

* ვაზი ჩავყარე ურჩიო – ვიგულისხმე ვეფხისტყაოსნის დაწერა.

** ქარვისა მტევანი – წიგნის მოყვითალო ფურცლები.

*** დაწურვით საწნახელიდან ჩაედინება ჭურსაო – წაკითხვით ჩაედინება ყურში.

**** მისი დალევით ყოველი ეზიარება ბრძენსაო – უნდა შეისმინო რომ ეზიარო სიბრძნეს (მარტო მოსმენა არ ყოფნის)

ამბავ მოვიდა ჩემამდი,
ეძებენ ნაწილს ღვთისასა*
უნდათ ამითი ამოხსნან
შობა ყოვლისა ცისასა
თუმცა გარკვევით წერია,
წაკითხვა უნდა სწორადო
სიტყვიდან იშვა ყოველი
შემდგომ შეიკრა ფერათო,

წინასწარ გეტყვით პასუხსა
აღარ გაწვალებთ ბევრსაო
დაგასწრებთ ყველას შედეგში
აიდოსტ-ს გეტყვით ყველასო,
დღეს კარგად იცით სწავლულმან
სიტყუა იქცევა ბგერადო,
თქვენ მეცნიერთა ენაზე
ტალღად იწოდის ესაო,

ბოლოს მცირედის გაყოფით
მიიღებთ ტალღას ღვთისასო**
ურწმუნო მხრებსაც აიჩეჩს,
ვერას გაიგებს მისასო.

---

* ეძებენ ნაწილს ღვთისასა – დიდი ადრონული კოლაიდერი გიგანტური დამაჩქარებელი აგებულია საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვარზე არსებულ მთებში. მისი მიზანია ამოხსნან სამყაროს დაბადება რასაც „დიდი აფეთქებით“ ვიცნობთ ანუ სურთ მცირედის შეცნობით ახსნან რთული პროცესი.

** ტალღას ღვთისასო – საბოლოო გაყოფით მიიღება ტალღური ბგერის გარკვეული დიაპაზონი.

რაღაა იგი სინათლე რასაცა ახლავს ბნელია.
(სხვანაირი ინტერპრეტაცია)

ეს არი ჩვენი ცხოვრება ნათელს თანასდევს ბნელია,
მზე ჩადის მთვარე ამოდის, დღე შეიცვლება ბნელითა,
სიხარულს დარდი მოჰყვება, შექებას შეცვლის წნელითა,
ასე ტრიალებს ყოველი, მონაცვლეობის წესითა.

მხოლოდ ერთია სინათლე რასაც არ ახლავს ბნელია,
შელეწავს თავის ნათელით, კარსა ჯოჯოხეთ ბნელისა,
ვერ ეკარების სიბნელე, ვერცა რამეთუ ბნელია
შენა ხარ იგი სინათლე რასაც არ ახლავს ბნელია.

შენით სულდგმულობს ყოველი, ქვაც უსულოთა შენია,
შენს ნებას ჰყვება ციურიც, მცირედის ნებაც შენია,
თავსა იმტვრევენ სწავლულნი, ჰგონიათ თავი ბრძენია,
უნდათ უშენოდ გაიგონ თავი გამოჰყავთ შტერია.

მიყვარს წარსული,
არა გასული და მომავალი.

მიყვარს ბახუსი, არა ლოთობა,
მიყვარს დღეობა, არა ღრეობა,
მიყვარს კისკისი არა ხითხითი,
მიყვარს რაჭული არა ფრანგული,
მიყვარს ალერსი არა ავერსი,
მიყვარს სიმართლე არა სიმხდალე,
მიყვარს სიმაღლე არა სიმდაბლე,
მიყვარს მამაცნი არა ჯაბანნი,
მიყვარს ქაქუცა არა ლაქუცა,
მიყვარს ერთგული არა ორგული,
მიყვარს ქართული არა სპარსული,
მიყვარს ასული არა გასული,
მიყვარს წარსული, არა გასული და მომავალი.

ჩემი ნატვრა!

სულ რომ სხვაზე ლოცულობ,
სულ რომ ითხოვ საერთოს,
სულ ქვეყანას მავედრი,
სულ მავედრი საეროს
იქნებ შენთვის გენატრა
არ გაქვს გულში ოცნება?
გამიმხილე იდუმალ
რა გწადია კელაპტრად.

სანატრელი მართლაც მაქვს,
მაქვს ოცნება რჩეული,
მინდა ფარნავაზ მეფის
ფეხთან ვიყო წვეული,
რომ მეც გავხდე ანბანის
დაბადების ზიარი
სიხარული შევიცნო
დარდსა მუდამ ჩვეული,

ანდა ხოხობი ვიყო,
გულში ისრით დაჭრილი,
ვახტანგ მეფის ხელიდან
ლარ მოჭიმვით ნასროლი
თბილისისთვის პირველი
სიყვარულით დამწვარი
მისი დაარსებისთვის
გულის სრულად დამთმობი.

ანდა ვიყო დოდგორზე,
ბრძოლის ჩავწვდე ყიჟინას,
გამარჯვების სიხარულს
ვეზიარო მე დიდ ხანს,
ერთობით და ლაზათით,
დავამღეროთ ოროლო

მერე ვაზი ჩავყაროთ
და დავლოცოთ ცის ბოლო.

მინდა ვიყო ოცდაერთს
იუნკერთა ბანაკში,
თბილისის დასაცავად
კოჯორ-ტაბახმელაში
მათვის წითელი ტყვიის
ჩემი მკერდით დამჭერი
პირტიტველა ბიჭების
სახლში მშვიდად გამშვები.

სათხოვარი მართლაც მაქვს
მართლაც ბევრი მდომია,
გალაქტიონს სასთუმალს,
მეც რომ ვეჯდე ბოლო ჟამს
მის ფანჯარას დავადო
დიდი ოქროს კლიტენი,
ვარდისფერ გზას ვაშორო
ვუთხრა გენიოსების
დავუყვავო, ვეფერო,
ვათქმევინო ლექსები,
მერე შევსვათ ჩვენ ღვინო
საქართველოს დიდების,
მერე გული მოვულბო
ვიცი მისი ტკივილის
კვლავ დაწეროს ლექსები
სულის, დარდის კივილის.

ეჰ, ხომ ხედავ რამდენი
სათხოვარი მქონია
ისევ ერთს შეგავედრებ,
ერთზე ლოცვა მდომია.
„საქართველო მიდიდე სხვაზე მეტი მგონია“

კაცები!
(ეძღვნება ვინც ღირსეულად იცხოვრა)

კაცები არა კვდებიან
კაცებად იბადებიან,
არ ვიგულისხმე მამრი მე,
ქალიც ხომ დედა-კაცია,
ზოგი მდედრი კი მამრიზე
უფრო მეტადაც კაცია,
დროისგან გაუტეხელნი
მოუდრეკელნი ჟამისგან
სიტყვისა კბილით დამჭერნი,
ერთგულნი თავის წრმენისა.

თუ კაცი გვყავდა მეფედა
ქვეყნისთვის თავდადებული,
დემეტრე ერქვა სახელად
ქმნა საქმე კაცგან ქებული
არც დედოფალმა დაუთმო
იქმნა წმინდანად ცხებული
აზრი ვერ შეაცვლევინეს,
შანთითა გაცხელებულით
ხორცი აგლიჯეს, ცოცხალსა
სულსა ვერ ავნეს შუბ ძგერით
ქეთევან სულით მამაცო,

მამრნი რას მოვლენ შენს გვერდით.
კაცები არა კვდებიან
კაცები მიიცვლებიან,
ვისაც ღმერთის გწამთ ნუ სტირით,
მხოლოდღა გარდიცვლებიან
მონატრებისა ცრემლები,
მარტო ამისთვის ცვივიან.

ხორციელ გინდათ იხილოთ?
არც ეგ არარის ძნელიო,
იმ დროში ისევ ცოცხლობენ,
ისევ ეცვლებათ წლებიო
თუ გყავს მანქანა* გადადი
მოინახულე სხვებიცო
თუ არა ფიქრით გაფრინდი,
დროს ადვილად კვეთს აზრიცო,
თუ ჩემი ნახვაც მოგინდეთ,
მეც ჩემს წლებში ვარ მოდითო.
კაცები არა კვდებიან
კაცები გარდიცვლებიან!
უბრუნდებიან იმ ალაგს
საიდანც გვევლინებიან!

* მანქანა – ვიგულისხმე დროის მანქანა.

შამას

მენატრები ისევ ისე ყოველთვის,
შენზე ფიქრით, შენზე ლექსებს დავწერ,
ცხოვრებაში გვერდით მყავხარ ყოველთვის,
სასწაულებს ჩემთვის კვლავაც გაწერ

ეხლაც აგერ გადმომხედე ისევმე,
მუნჯსა მომეც სიკეთე დამადლი,
მე ხომ ლოცვაც წესიერად არვიცი,
თუმც გაიგე გულის ლოცვის დარდი

მინდა ჩემს ხალხს დავანახო შენი მზე,
მაგრამ თვალის მხედველობა აცდენთ,
დავიყვირებ ხმა ყურამდის არ წვდებათ,
ამ ცხოვრების ხმაურს მინდა აცდნენ.

მხოლოდ ბრმა თუ დაინახავს შენს ყოფნას,
მხოლოდ ყრუ თუ გაიგონებს ყურში,
გულით ვხედავ ისევ შენსას აქ ყოფნას,
ყველაფერში როგორ გიდევს მადლი?!

ვერ ხედავენ შენს სასწაულს ამჯერად,
გონება აქვთ გაფანტული თავში,
ზოგჯერ მიკვირს ამდენს კიდევ რომ გვითმენ,
დავამძიმეთ ცოდვით ედემ ბაღი,

თუმცა ვიცი უსასრულოს მეუფევ,
უსაზღვროა სიყვარული შენი,
მოდი ამ ხალხს ისევ ისე შეუნდე,
დაანახე პატიების მადლი.

მოდი ისევ ანუგეშე მართალი,
ობოლს მიეც ნუგეში და სარჩო,
ატირებულს შეუმშრალე თვალთ ცრემლი,
დაწუნებულს ღირსეული ჩარჩო.

„გაუგებ არი“

ისე ვიყავი გუშინ მგოსანი,
როგორც ამება ჩიტი ფრთოსანი,
ვინ რას გაუგებს ბუნებას კარგო,
ვის აძლევს ნიჭს და ვის ართმევს სარჩოს.
მხოლოდ ერთის უდრის პასუხი სწორი,
ყველა ტოლობის ზე განტოლების.
შეუცნობია გზები გონების,
მცირედის ცოდნით დიდის შეცნობის.
მარტივი – არის პასუხი რთულის,
ხოლო, მარტივის პასუხი – რთული.
დაწუნებული ენა ქართული
გასაღებია ყველა ხლართულის.
სიტყვამ ამრავლა რწმენა რჩეული,
და არა ფულმა გამორჩეული,
რწმენამ დაბადა თავშეწირული,
ფული ვერ შეკრავს თავთსა წრიულით

****ხმა****

სულს თუ გაყიდი ხმასაც იყიდის
ხმას თუ გაყიდი სულსაც იყიდის
ვაი იმას ვინც ამათ გაჰყიდის
ვუი ამათ ვინც იმათს იყიდის!

****აბორტი*****

რამდენიც მოგეც არა ინებე,
ისიც უარყავ თავიც მანებე,
ეხლა მოგინდა ველარ მიიღებ,
აღარა მოგცემ ვერას წაიღებ
მაშინ მე მოგცემ თქვა ასატანმა,
ჩემი აიღე ჩემი გაზარდე,
აკეთე ის რაც ისურვოს ტანმა,
რქებით აწექი თქვა გასატანმა.

******წრმენა*******

დიდ ტბაში არის თევზი მრავალი
პატარა ტბაში მცირედ სავალი
თუკი არ გინდა თევზი მრავალი,
და გინდა გემო გარდამავალი,
მაშინ ნუ სდარდობ თუ არ მრავლდება,
ბოლოს ერთამდე თუ დამგვალდება.

რა გადაარჩენს!

რა გადაარჩენს!

რა გადაარჩენს ნეტა ქართველებს?
რა გადაარჩენს? – რწმენა ღვთისნიერი,
რა გადაარჩენს ნეტა ქვეყანას?
რა გადაარჩენს? – სიტყვა მისმიერი.
რა გადაარჩენს ნეტა ჩვენს მოდგმას?
რა გადაარჩენს? – შვილი თვინიერი.
რა გადაარჩენს ნეტა სილამაზეს?
რა გადაარჩენს? – სული მშვენიერი.
რა გადაარჩენს ნეტა საქართველოს?
რა გადაარჩენს? – დედა ბედნიერი.
რა გადაარჩენს ნეტა ერთობას?
რა გადაარჩენს? – თავი მდაბიერი.
რა გადაარჩენს ნეტა ოცნებას?
რა გადაარჩენს? – კაცი წესიერი.
რა გადაარჩენს ნეტა ადამიანს?
რა გადაარჩენს? – ალბათ შენი ერი
რა გადაარჩენს ნეტა საწუთროს?
რა გადაარჩენს? – ენა ერთი ერის.
რა გადაარჩენს ნეტა წარღვნისგან?
რა გადაარჩენს? – ისევ შვიდი ფერი
რა გადაარჩენს ნეტა თანადგომას?
რა გადაარჩენს? – გრძნობა მადლიერი
რა გადაარჩენს ნეტა ზღვაში ნავს?
რა გადაარჩენს? – აფრა განიერი.
რა გადაარჩენს ნეტა ეკლესიას?
რა გადაარჩენს? – ლოცვა ერთი ბერის.
რა გადაარჩენს ნეტა სამეფოს?
რა გადაარჩენს? – მეფე გონიერი
რა გადაარჩენს ნეტა სიხარულს?
რა გადაარჩენს? – დარდი წამიერი
რა გადაარჩენს ნეტა პოლიტიკას?
ნაბიჯი სწორი, არა ბეციერი.

ოი, რა ძალა!

სიტყვას ძალა აქვს, ოი! რა ძალა,
ტყვილად ნუ ისვრი პირთა ბაგედან,
ისე იცხოვრე, რომ სიტყვას მართალს,
შენს სიტყვას ეჭვი არ ჰკრან არსიდან.

ნურც შეაგინებ ოდესმე ვინმეს,
არცა იქნები შეგინებული.
ნურც გაიმეტებ ნურვის ოდესმე,
არც შენ იქნები გამეტებული.

ნურც დაიფიცებ ნურვის ოდესმე,
შენს სიტყვას ფიცი არა ჭირდება,
სიტყვას მართალთან და ჭეშმარიტთან
ტყუილის მთქმელი ვერას გახდება.

ვიღაც იგინებს დედას უზადოდ,
ამით ამტკიცებს თავის სიმართლეს,
ზეცაში უშვებს დასტურს უაზროს,
და სიტყვა მისი ელის სისრულეს. *

სიტყვას ძალა აქვს, ოი რა ძალა,
კარგად დაფიქრდი რასაც იძახი,
რადგან გაშვებულს პირთა ბაგედან,
ვერ მოაბრუნებ უკან ვერა გზით.

---

* ნატვრის ფორმებია გამოთქმა: ბედნიერი ვიყო, სრულყოფილი ვიყო, წარმატებული ვიყო, კაი დედმამის შვილი ვიყო.... (ყოველივე ეს არის გახმოვანებული განაცხადი, რომელიც ელის დასტურს) უარყოფითი (პრ.....) ვიყო, ტრ.. ვიყო,....შვილი ვიყოც იგივე განაცხადია და ხშირად ასრულებულ არს კიდევაც.

რატომ??? რატომ!!

რატომ არის რომ სიყვარული მარადიულიც
იფერფლება ამ დროჟამში როგორც სანთელი?
რატომ არის რომ მზე ნათელით თრგუნავს სიბნელეს,
მაგრამ სიბნელე მაინც რჩება აჩრდილის სახით!?
ანდა მუხის ხეს ათასწლოვანს მდუმარედ მდგომარს,
როგორ შეუჩნდა უსუსური დამღრნელი ჭია?
ანდა ჩვენს ძმობას ალმასივით ლაღს და კრიალას,
რატომ გაუჩნდა გულში ბზარი რატომ იარა?
რატომ არის რომ მამა შვილზე გადაყოლილი,
მერე დატოვებს შვილი მამას მარტო ტიალად?
რატომ არის რომ გული ტირის წითელი სითხით,
თეთრი სითხე კი თვალთა უპით მოედიება?
რატომ არის რომ ა-Share-ბენ კვლავ სისულელეს,
გალაქტიონის ლექსი არვინ გააზიარა.
რატომ არის რომ დრომ ნიღბები ყველას ჩამოხსნა,
თუმც ნიღბოსნები ისევე გდიან ჩვენდა ზიანად.
რატომ არის რომ კაცთა ცოდვის გამოსასყიდად,
მამამ შეწირა თავისი ძე ჩვენთ სულთ ზიარად.
რატომ არის რომ თორმეტშიაც გამოჩნდა ერთი,
რომელმაც ვერცხლად გაიმეტა თავისი ღმერთი.

უფალო

უფალო შენდა იმედად ვართ დარჩენილნი მცირედნი,
მოგვმადლე გონით-გონება რწმენა კი აუარები.

ზოგსა სწავლება მით უნდათ რომ ქონდეთ კუჭი გამზღარი,
ფუჭია იგი წვალება, თუ არ სდევს გონი გამჯდარი,
თუ გულში არ დევს მოყვასის, სამშობლოს სიყვარულია,
რად გინდა იგი სიცოცხლე მხოლოდ რომ მოარულია.

ჰეი ქართველნო გონს მოდით, ჯერი დამდგარა თქვენია,
მრავალმა სცადა დაებყრო მსოფლიო ხმლით და ცეცხლითა
თქვენ სიყვარული არჩიეთ, გზა მოკლე მხოლოდ სწორია,
კარნი შეუვალთ ესემის მარტო მართალთა ხელითა.

ჰეი მცირედნო თქვენს ხელთ არს სამოთხის გასაღებია,
ვინც რომ მოვიდეს მიიღოს ყველაფრის სამი ჯერია.

მეფემან მეფე წაგვართვა, თავს გაუჩინა ავია,
გაწირა თავისი მოდგმა, გამოუტანა ვალია,
გაქრა სამეფოც, მეფეც და მისი ნაქები გვარია
დღემდე ეძებენ ვერ პოვეს ანასტასიას კვალია.

ისევ დაგვიპყრო ურჯულომ, ისევე სამჯერ წერია,
ისევე როგორც მრავალჯერ, ჩვენ ვმართეთ დამპყრობელია,
არსებობისა მანძილზე, უმეტესი ხომ ჩვენია,
არ დაგვიფასეს სიკეთე, მივეც მსოფლიო სწორია,
გავედით უმალ დაინგრა, ნანობენ, ума дурни-ა.

მერე მოვიდნენ ცეცხლითა, ისევ რაღა ცის წართმევნი,
ცეცხლი მიიღეს ისეთი, კვამლი არს აუარები,
თვითონ ჰგონიათ წაგვართვეს, ქვა ნახეს თავში საცემი,
დათესილს მალე მოიმკის შემოდგომისა მნახველი.

– მერე კარის წინ დაგვიდეს მოჭრილი ღორის თავია,
ღორის სიმბოლო ვინ არის, ეს იცის მთელმა LAND-იამ,
ტანი სადაა უთავო? თუ ხვდება ნეტა რასია?
სწორია! თავი დაკარგეთ, დაგრჩათ მარტოღა ტანია.
თავის გარეშე დარჩენილს, მალე ეწყება ლპობაო,
სიცივე შველის ცოტათი, გარედან არ ჩანს დნობაო,
შიგნიდან ისე აყროლდა სუნი გადაწვდა ველსაო,
მკვდარს ვერც აქიმი უშველის, ვერცა ბალზამის წყებაო.

ისევ უფლისა იმედად ვართ დარჩენილნი ქართველნი,
სამართალს ველით შენგანა, უამრავ ჭირთა მნახველნი,
შენ დაგვიფარე ავისგან, თუ ვართ სიმართლის მძებნელნი,
დიდება შენსა სახელსა – უკუნისამდე – ვართ შენნი.

11 აგვისტო/2011წ. სოფელი თლული.

ქართული ცეკვა.

ქართული ცეკვა ისე აღმაფრენს,
ვით უდაბნოში წყალი ცის ნამზე.
როგორი მიხვრა, როგორი მოხვრა,
როგორ გადმოსცემს ქალის სინაზეს.
როგორ ასახავს მშვენიერებას,
იდუმალ ყვავილს ნიავი აშლის.
როგორ ხაზს უსვამს ღმერთის ქმნილებას:
მაცდურს, ცეცხლოვანს, მხარ ხელს რომ გაშლის.
გადაგავიწყებს ცოდვის შვილობას,
ეს მოძრაობა ცოდვებსაც წაშლის,
მოსხლეტილს ტანით, კეკლუცს და ნატიფს,
შვლის ნუკრის ნახტომს ჭალაზე გაშლილს.

აბა შეხედე ეხლა მამაკაცს:
ვაჟკაცს, ღირსეულს, ანგელოზთ ბადალთ,
ხელების გაშლით ამ ქართა ველზე,
ბერმუხასა ჰგავს ცამდე ამავალს,
მერე დაუვლის თავის ჩიტუნას
არც ეკარება არც უშვებს არსად,
ბოლოს ჯვრად შეკრავს უსასრულობას
გადაიქცევა ორნი ერთ არსად.

სადმე გინახავთ ცეკვა ასეთი?
ცეკვა რომელიც სიცოცხლეს ხატავს!
ესეც შენ გერგო ქართველო ერო,
გადააქციე მსოფლიოს ხატად.
მე მუხას! ფოთოლს ამიშლის სიო,
ამ ცეკვის რიტმებს სიხარულს ვატან,
ჟრუანტელს მივლის, ზეცით მადლს ვიღებ
და ამ ფესვებთ ისევ შენ გატან.

ჭიანჭველა მოძღვარს.

სხვის ცოდვებით ისეც დამძიმებულს,
მე არ მინდა ჩემი ცოდვაც აგკიდო.
ჭინჭველა ვარ ალვის ხესთან ბრძოლით,
ჩემი ტვირთი მევე უნდა ვიკიდო.
ვხედავ, ბევრი მოსულია ცოდვებით,
დგანან ჩუმად მორიდებით აქ კიდო,
შეეშველე შენი მძავრი მხრებით,
რომ მთის წვერზე უვნებელად აზიდონ.
მე თითების კვნეტით, მაჯებს ვიკვნეტ,
ჯიუტი ვარ, ჯიშიც მომდგამს ამიტომ,
მე ჩემს ძმამდე მიმავალი გზები,
მარტოობით, ლოცვით უნდა გავლიო,
რომც ვერ ნახოს ჩემმა სულმა სიმშვიდე,
რომც არ ვიყო მიტევების ღირსი,
შენ ისეთი მადლი გამოასხივე,
მოვერევი ალვის ხესაც ვიცი.

გამოცანა

გამოცანა – „ყველაფერი არაფერია – არაფერი ყველაფერია“
მინიშნება – „თეთრი არაფერია – ყველაფერი თეთრია“

ახსნა განმარტება!

პირველია გამოცანა, მეორე კი ახსნა მისი,
ცხოვრებაა მრავალფერი: სახლი, ფული, ეზო, ჭერი
მაგრამ მაინც საბოლოოდ არ გამოდის არაფერი.
თავისთავად თეთრი ფერი არის მხოლოდ არა ფერი,
თუმცა ყველა შვიდი ფერი არის შვილი თეთრი ფერის,
სიყვარულიც შვიდი არის და კრავს ყველას სუფთა ფერი,
უფალია წმინდა ფერი და ის არის ყველა ფერი.

პასუხი: „ცხოვრება არაფერია – უფალი ყველაფერია“

ჩემი ნაფიქრი, აზრი, გამონათქვამი.

„ისე არაფერი მაოცებს როგორც ნასწავლის, უცოდინრობა“

„ვაშლის ხეს, არ ჭირდება იმის სწავლა რომ ვაშლი მოისხას, ლეღვის ხეს კი რამდენიც არ უნდა უკთხო და ასწავლო ვაშლს ვერ მოისხამს. “

„კაცი რომელიც შოულობს და თან გასცემს იმ ხეს გავს, რომელსაც ზრდასთან ერთად ფესვიც ეზრდება და რაც მეტს გასცემს ფესვიც უფრო და უფრო უახლოვდება მაცოცხლებელ წყაროს, ხოლო კაცი რომელიც მარტო შოულობს და არაფერს გასცემს გავს უფესვო ხეს, რომელიც იზრდება სწრაფად და რაღაც ეტაპზე თავისივე სიმძიმე აქცევს. “

„ღირსება ისეთი ვალიუტაა რომელიც ყველგან გადის, მტერთანაც კი. “

„ყველაფერი არაფერია – არაფერი ყველაფერია,
თეთრი არაფერია – ყველაფერი თეთრია“
„სწორი გზა, ყველაზე მოკლე გზაა ჭეშმარიტებამდე მისასვლელი,
თუმცა ამავდროულად ყველაზე რთული გზაა,
ამ გზას ბარბაცით და მერყეობით ვერ გაივლი. “

პარტია! ტალახში შესულ კაცსა ჰგავს, რაც უფრო დიდია და ძლიერი მით მეტი ტალახი ეკვრის, ამიტომაც მით უფრო უჭირს წინსვლა. ხანდახან გაჩერებაა საჭირო, ტალახი გაშრება და ჩამოცვივდება. 03. 05. 2006.

პარტიული სიით გასული დეპუტატი თავისუფალი პიროვნება არ არის, ის პარტიის მანდატია. პარტიული ბორკილი ღალატის საწინდარია, დადგება დრო როდესაც ან პარტიას უნდა უღალატოს ან საკუთარ აზრს. 18. 11. 2008

ქვეყნის მმართველი არ უნდა იყოს პარტიული, ის ყოველი ბორკილისგან თავისუფალი უნდა იყოს, მონა თავისუფალ ქვეყანას ვერ მართავს და ვერც ააშენებს. 28. 08. 2011.

პრეზიდენტი ყველასგან და ყველაფრისგან თავისუფალი უნდა იყოს გარდა სინდისისა და მოვალეობისა. 6. 10. 2012.

კახას კახაბერისგან

შენ ნაკითხი ხარ, მე არამცოდნე,
შენ ნასწავლი ხარ, მე უსწავლელი,
შენ ბრალიანი, მე კი უბრალო,
შენ წასული ხარ, მე მოსასვლელი.

მიტომ მაღლიდან შენ გვიცქერ ქვევით,
ხედავ ჭუჭყსა და მხოლოდ ბიწიერს,
მე ვიყურები ქვევიდან ზევით,
ვხედავ უფალს და საქმეს მის მიერს.

ჭეშმარიტების შეცნობის გზებსა
იძლევა მხოლოდ ზეცით ნათლობა,
შენ შენი ცოდნის ლაბირინთებიში,
უფრო დაშორდი განათ„ლელო“ბას

შენ შენთვის იღვწი და შრომობ მხოლოდ
მე კი სულ მტკივა სამშობლო ერი
ამიტომაც ხარ შენ კახა მხოლოდ
ამიტომაც ვარ მე კახაბერი.

ორი მახვილი

შენი ასოთი, ჩვენ უნდა ვსძლიოთ,
და ყოველ ბოროტთ ვ-ასო-თ ამითი.
ორი მახვილი, ყველაზე ბასრი,
დღეს არს სიმართლე და ჭეშმარიტი.

ბევრი დავღვარეთ სითხე წითელი,
საკმარისია მისი ვაება,
დღეს უნდა ვღვაროთ სითხე უფერო,
და დავასრულოთ ჩვენი წამება,

ოფლითა!* უნდა სძლიო ყოველი,
ოფლითა! უნდა იყოს დიდება,
ოფლითა! უნდა იყო ქართველი,
ოფლითა! უნდა დღეს გამარჯვება!

* ოფლითა! – ჩაანაცვლე სიტყვით ლოცვითა.

როცა დასცინი ნა-ხატს!

მე შენ დაგსაჯე მიტომ,
კაცი გაგხადე ლოთი,
ფეხზე გეკიდა სხვისი,
მხიარულება შფოთი,
დაგტოვე ასე მარტო!
მარტო და დარდის ბოთლით.

მე შენ დაგსაჯე მიტომ,
და ხეიბარად იქეც,
რომ არ ფასობდა შენში,
გარჯა მოყვასის კიდე
აწი ირიბად ივლი!
რომ დაინახო სხვისი.

მე შენ დაგსაჯე მიტომ,
და გახდი ეხლა შტერი,
რომ გშურდა მუდამ სხვისი,
ფული, ქონება, ჭერი.
იარე ეხლა მალვით!
ვერვინ გიშველის წამლით.

ბირჟაზე დგანან სამნი,
უდარდელები ანცნი,
შეხედე მოდის ლოთი
მოდი მომეცი ბოთლი,

აბა ლუდი მაქვს ცივი!
გინდა? ახტუნე კვიცი
ჩაუსვი ეხლა ტვისტი,
ჩუსტი გასძვრება ვიცი!

შეხედეე მოდის კოჭლი,
ბარბაცებს როგორც ლოთი,
მიდი გასცინე ერთი,
ვიმხიარულოთ მეტი,

ეხლა ვითრიოთ შტერი,
ვამღეროთ ისევ მუჩო,
მერე თქვას ლექსი გრძელი
მორჩა? პანღური მთელი

შტერი, კოჭლი და ლოთიც
ეს მე დავსაჯე ცოდვით,
მათშიც ხელია ჩემი,
ესენიც ძმაა შენნი!

მათი დაცინვით ბრიყვო!
დასცინი მაგათ ვითომ?
როცა დასცინი ნახატს
დასცინი იცი მხატვარს?

ასე რომ იცით ქილვას,
მალე დაუსვამთ კითხვას.
გინდათ გაიგოთ მეტი?
და გამოსცადოთ ბედი?

ჩემზე რამეში მეტი
რომელი არის ნეტა?
თქვენ როცა ბჭობდით ქვევით,
მე ვხარხარობდი ზევით.

მერე რომ მოხვალ ჩემთან
სანთელს დაიჭერ ხელში
და დასვამ კითხვას რატომ?!
არ გიპასუხებ ზატო.
პასუხი არის შენში,
მოძებნე კარგად სხვენში.

მზე ანათებს თაკარა!

მზე ანათებს თაკარა,
ვის აცხუნებს ვის არა,
წყაროს წყალი ანკარა
ვის აგრილებს ვის არა,
ამ ცხოვრების კამარა,
ვის უხურებს ვის არა,
ამათ ბოთლი და ტარა.
იმათ სავსე ტომარა.
ზოგი ცისკენ ატარა,
ზოგსა მისცა პატარა.
შენი სიტყვის მათარა
ვის ამშვიდებს ვის არა,
მე კი ისევ მარტო ვარ!
ისევ წრმენის ამარა.
ერთი გოგო თამარა,
ვის ულიმის ვის არა,
მერე მოვა იკა რა,
ცამაც გადაიკარა.

***

ტახტის დამცველნი
მეფისა სპანნი.
დროშის დამჭერნი
სულით ქართველნი.

ტყეში გაჭრილნი,
გვარით ნაძენი.
ორ ჭი-ს დამცველნი
ქვემო რაჭველნი.

ნდობით აღვსილნი,
ჟამით დაღლილნი,
ვარამ გაჭრილნი
ჭიჭინაძენი

ჭიჭინაძენი

ჭისა ორის – დაცვა გვანდეს
იონასა ბერთან ერთად
ჭიჭინაზე მოგვცა გვარად
იგულისხმა ძმანი ერთად
ნაძენ გვარში გამოძერწა
ამალა და სპანი მეფის
ძენი მისი დაგვილოცა
ერგულება მივეც ფიცით
ნიშანს უნდა დაველოდოთ
იმიტომ ვართ ფხიზლად,
ვიცით!

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონის ამონარიდი

ZAa

ქართულთა ენათა ანბანთა ასონი არიან 40 და ებრაელთა 22, ლათინთა 24 და ელლენთა (∽ ლათინთა და ელენთა 24 Aa), არაბთა 29 (+ და Z), ინდოთა 12, რუსთა (+ და Aa) სომეხთა და კვალად

ZAa

სხვათა (+ და Aa) რომელთამე (+ ქართულთა ზედა Aa) მეტი და რომელთამე ნაკლები, ენათა სიგრძე-მოკლობისა და მიმოქცევისათვის (მიმოქცევათა მიერ Aa). რამეთუ არიან ენანი, რომელ (რომელნიმე Aa) ჯორჯთა შინა (შიგა Aa) იტყვიან სიტყვათა, და არიან ენის წვერვალთა(თა). ამის გამო არს ენათა (ასოთა Aa) მეტ-ნაკლებობაჲ.

ხოლო ქართულ(ნ)ი (+ ანბანთა Aa) ორმ(ე)ოც(ნ)ი ასონი განიყოფებიან შვიდად: კმოანად, ნა(რ)ნარად, ბაგეულად, ენის მწვერვალთად, საშუალ ენისა და ჯორჯთა შინა, ხოლო მეშვიდე ნახევარ ბაგეჲ(ა) მიერ მოხრით(ა) ნესტვებრ (ნესვტებრ Z) ამისთვის, რამეთუ არიან ასონი, რომელნი(მე) ბაგეთა მიერ ითქვას და რომელ(ნ)იმე ენის წვერვალითა, (+ და Aa) რომელიმე საშუალ ენითა ღა რომელიმე ჯორჯითა. სიტყვის(ა) მიმოქცევისათვის (მიმოთქმისა და კაფიათა გამოჩენისათვის Z), რამეთუ არიან სიტყვანი მაღალნი და არიან ზომიერნი და არიან მდაბალნი. ამისთვის არს შვიდად განყოფა(ჲ) ასოთა მათ.

ჭა ესე ფარსა და ჯეს საშუალია. ძველს წიგნშ ახლა ვიპოე. სხვათა ენისა თარგმანში ფრიად საჭმარ არს, ამისთვის ბოლოს დამიწერია.

ᲯᲐ ესე სიტყვათა შემაერთებელი არს და ცალკე ასოა. ყოველთა ენათა ანბანთა ბოლოს უზის და მეცა ბოლოს დავსვი, თუცა დონს ასო ზედეთ აბია, შემკრველი ასო არს. და თუცა დონსა ანი გვერდით უზის, სიტყვისა შემწე არს.

ა ან.	ბ ბან.	გ გან.		ა ან.	ბ ბან.	გ გან.	
დ დონ.	ე ენ.	ვ ვინ.		დ დონ.	ე ენ.	ვ ვინ.	
ზ ზენ.	ᲪᲔ ᲪᲔ.	თ თან.		ზ ზენ.	ᲪᲔ ᲪᲔ.	თ თან.	
ი ინ.	კ კან.	ლ ლას.		ი ინ.	კ კან.	ლ ლას.	
მ მან.	ნ ნარ.	ᲓᲐ ᲓᲐ.		მ მან.	ნ ნარ.	ᲓᲐ ᲓᲐ.	
ო ონ.	პ პარ.	ჟ ჟან.		ო ონ.	პ პარ.	ჟ ჟან.	
რ რაე.	ს სან.	ტ ტარ.		რ რაე.	ს სან.	ტ ტარ.	
უ უნ.	ᲯᲘ ᲯᲘ.	ფ ფარ.		უ უნ.	ფ ფარ.	ქ ქან.	
ქ ქან.	ღ ღან.	ყ ყარ		ღ ღან.	ყ ყარ.	შ შინ.	
შ შინ.	ჩ ჩინ.	ᲪᲐ ᲪᲐ.		ჩ ჩინ.	ᲪᲐ ᲪᲐ.	ძ ძილ.	
ძ ძილ.	წ წილ.	ᲭᲐ ᲭᲐ.		წ წილ.	ᲭᲐ ᲭᲐ.	ხ ხან.	
ᲮᲐ ᲮᲐ.	ᲯᲐ ᲯᲐ.	ჯ ჯან.		ᲯᲐ ᲯᲐ.	ჯ ჯან.	ᲰᲐ ᲰᲐ.	
ᲰᲐ ᲰᲐ.	ᲭᲘ ᲭᲘ.	ᲭᲐ ᲭᲐ.		ᲭᲘ ᲭᲘ.	ᲯᲘ ᲯᲘ.	ᲭᲐ	

ᲯᲐ ესე სიტყვის შემკრავია, რომელსა ზეით ანი უჯდეს.

1. ორჯერ გარკვევით წერია „ასონი არიან 40“ „ორმ(ე)ოც(ნ)ი“

2. ამიტომ ზოგოერთი ენათმეცნიერის ვარაუდით, რომ საქმე გვაქვს სტამბურ შეცდომაში გამორიცხულია.

3. როგორც ჩანს ს.ს.ორბელიანი იცნობდა არა მარტო ქართულ ასოთაგანს არამედ მრავალ ენათა ასოებს.

4. ზოგი მეცნიერის მტკიცებით გამოდის რომ იგი ვერ არჩევდა ასოს სიტყვისაგან, სიტყვას წინადადებისაგან, ასოს, ეპისიმონს და ქარაგმას, რაც მიანიშნებს მეცნიერთა გაუნათლებობაზე და მათ ვიწრო სწავლულობაზე რადგანაც მათ სათვალავებც, ინდექსებც და რიცხვითი მნიშვნელობებიც გააჩნიათ.

5. დონს თუ თავზე ანი უზის – ცალკე ასოა! დონს თუ გვერდზე ანი უზის – სიტყვის შემწე არს! (ანუ და კავშირზეა საუბარი) ესე იგი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთი ასოა, მეორე კი კავშირი.

6. იგივე მეცნიერთა აზრით არცერთ ძველ ხელნაწერებში არ მოიპოვება 40 ასო და არ არის მტკიცებულება, განა თვით საულხან-საბა და მისი სიტყვათა ლექსიკონი არ არის ამის მტკიცებულება? განა არის ვინმე მასზე დიდი ქართველი ენათმეცნიერი.

ასო ცის! (3X40=120)

ანბანის ახლად აღმდგენელო! ჰპოვე ორმოცი,
კარებს გააააღებს დახურულსა ასო ორმო-ცის,
რა სამჯერ ჯამში აღმატებით არის ასოცი,
და სიტყვა ცისაც იწერება ისიც ასო ცით.
სამებაშია ენა ერთი აბა თუ იცით,
თნო, ველად არსში მამა ზეცის სრულად თავის ძით.

დაე აღსრულდეს! ამ ენით ამბობს უცხო ტომელი,
ამ ენით იყოს ჭეშმარიტება განსჯაც ყოველი
არც კი არ იცის ქართული ენით აღავლენს ლოცვას,
ბოლოს იძახის „ამენით“ – ამინ ასრულებს ლოცვას.

ქართულს ავედრებს ზეცას ისევ გარინდებული
უცხო ტომელი „ამ ენის“ აზრში ჩაუწვდომელი.

“დემო” ვერსია

„დემო“ ალბათ გაგიგიათ საცდელია ვერსია.
გუშინ ბებო წავიდა და რომ აიღო პენსია
მოუტანა მიშას სახლში „play“-ს დემოვერსია.
მანაც აღარ დააყოვნა თამაშს მიცა სტარტია
ხასიათი მალე წახდა რომ გაიგო არსია
თურმე სრული არ ყოფილა მოუციათ ფარსია
ამ პროგრამის მომგონებლის....., ბებო ახლა შარშია.

თუმცა თამაშს ვინ დაეძებს, მგონი ჩვენც გვჭირს იგივე
არასრული შემოგვტენეს დემოს წესიც ვიცი მე
თანასწორი უნდა იყოს ვაშლი ცა და ლობიოც,
ზომა წონაც ერთი ჰქონდეს თარაზოც და გონიოც.

ქალიც კაცის თანასწორი უნდა იყოს ყოველთვის,
მას ავკიდოთ ტვირთიც მძიმე, საქმეც მივცეთ შარაგზის.
სახლის საქმე გააკეთოს დიაცისა მამრმა და...
კაცი მასაც მოუნდების სვლა მამათა მავალთა.

აი ეს არს წესის მოშლა, აი ეს არს არევა,
მალე ისე შეიცვლებით არ აგცდებათ დარევა,
კაც ქალისა მორჩილებით არ გამოვა გარეთ „ვა“,
მერე ნახეთ ოჯახების არევა და დანგრევა.

ზოგჯერ ბრძენიც ჩავარდნილა კრეტინობის მახეში,
თუ არ იცის ზომა წონა, მოხვედრია სახეში,
მატრაბაზად დემოკრატის დოზა არის საშიში,
სხვებისავით ჩვენც მოვხვდებით დემო კრეტინ მახეში.

გიო და ნატო NATO+GEO

ვდგავარ ქუჩაში მარტო,
მოდის გოგონა ნატო,
მოაქვს ძუძუ და მკერდი, უკან გავა და წელი.

აქთ მოდექი ნატო, ორი სიტყვა მაქვს მარტო,
მხიბლავს სურნელი შენი, აუწერელი ენით.
და მითხრა ნატომ ასე:
რომ მოიქეცი ასე
რა! გაიზრდები ბიჭო, მერე – პატარა გიჟო.

გავიდა დრო და ხანი

ისევ ქუჩაში მარტო!
მოცურავს ქალი ნატო,
წინ მოდის ძუძუ მკერდი, უკან გავა და წელი.
ისევ ლოდინად გელი, გასულა ათი წელი.

მოდექი აქთ ნატო,
ორი სიტყვა მაქვს მარტო.
კვლავ მაქვს ოცნება შენი, მოდი მომეცი ხელი,

და მითხრა ნატომ ასე:
რამ გადაგრია ასე???
ცოტაც მოიცა კაცო, დრო მოვა თვითონ გამცნობ.

ისევ გაუდგა გზასა და მიეფარა თვალსა.
ნატო ქალია ბოზი*
მასა ყავს ბევრი ბოსი
ნატოს ტაქტია ნელი,
რად უნდა უქონელი?
გიო!? ნატოზე ფიქრს და
ისევ ნატოსკენ სწრაფვას,
ჯობს რომ აიღო ცელი
და გაანძრიო ხელი.

---

* ბოზი (ძვლ. ქართ.) – ლამაზს, მიმზიდველს ნიშნავს.

პრეზიდენტს!

ბურჯი ქვეყნის სიძლიერის – არის საქმე მართალი,
არც ხუჭუჭა შადრევნები, არც კედლები ფასადის,
თუმცა ვხედავ გაწეული შრომა არის მრავალგზის,
ისიც ვიცი სიარულსა, ჩვილი სწავლობს დავარდნით.
მერე რა რომ შეცდომებიც, იყო თუნდაც მრავალი,
ვაჟკაცს შვენის აღიაროს, თავმდაბლობით მართალი.
მინდა მოგცე რჩევა ძმური, არ ვარ მტერი მტარვალი,
ტაქტი ბრძოლას არას ავნებს, უკან გონით მავალი
არ მოყვება დასასრული ამა ქვეყნიერების,
მაგალითიც მრავალია, ღირსეული ქმედების,
ისტორიამ დაგვანახა გამარჯვება გონების
საფრანგეთის სიამაყის, ღირსეული დე გოლის.
ნუ გადაყრი შენს მიღწევებს, მტკვარსა ავსა მორევში,
გახსოვს? როგორ დავამარცხეთ მოქ კავშირის მონები
პოლიტიკურ ნაგვ-საყრელზე გდიან დღემდე გოდებით
სიცრუის და გაყალბების უღირსობის წოდებით.

ჯერ არ არის მთლად გვიანი ტაქტი უნდა შევცვალოთ,
მთელს მსოფლიოს დავანახოთ, ჩვენზე ვალაპარაკოთ,
ღირსეული არჩევნების იცის ერმა აწ ფასი,
რომც წავაგოთ ეგ იქნება გამარჯვების ტოლფასი.

არავის არ დაუჯერო მიჰყევ შენსა გულისთქმას
თორემ ისევ მებრძოლები გაგწირავენ ბოლო ჟამს
დასვრილ ხელებს შეგაწმენდენ პატარა კაცუნები,
ვერც ობამა დაგვიცავს და ვერც მერკელის ხელები.

06. 12. 2012.

სამი პატარა გიჟი!

კარლო, სანდრო და ლიზი,
სამი პატარა გიჟი,
განსხვავებული არსით
თუმცა ერთნია მაინც.

კარლო!
ვაჟკაცი, გამრჯე, არის ბაბუის სახე
დაშლის ააწყობს, გატეხს, ყველაფერს უცვლის სახეს
მერე გაიყვანს სანდროს, შეტენის თავის ნაშრომს,
კვლავაც დასტყუებს ახალს, მოაწყობს ისევ „პაკაზს“.
შემდეგ დაითრევს ლიზის თმას წიწკნის –
ისიც კიიივიიისსსსს.

სანდრო!
ბუნჩულა წყნარი, კვლავ ჩასაყლაპი არი,
ხასიათი აქვს სანდო თუ გენდო სულსაც განდობს
მას უხარია ცოტაც, ირგვლივ სუყველას ლოცავს
თუმც გაიზარდა მაინც, გულით კვლავ არის „კინდი“,
რომ გაიზრდება ვიცი იქნება „ვუნდერკინდი“.

ლიზი!
ლამაზი არი, მამიკოს ონავარი,
ამასთანავე არი, ბიჭებთან მეომარი,
გაეჯგიმება ბიჭებს, თუ გაჭრა დოინჯს იჭერს
თუ არა გაყრის ტლინკებს და მერე გააჭიჭებს.
კუდრაჭა ცელქი სიო, არაფერ არ თმობს
„ვსიო“.

03. აგვისტო. 2012. თბილისი.

დედამიწა
(მისტიკა, ლეგენდა)

დღევანდელ დღეს მომხდარს – ამბავი ქვია,
გუშინდელს – ფაქტი,
უფრო ძველს – ისტორია,
ძალან ძველს – ლეგენდა,

ასე იქცა თბილისის დაარსების ამბავი ფაქტად, ფაქტი ისტორიად, ისტორია ლეგენდად, და რაც დრო გადის უფრო შეთხზულად, ვიღაცის მიერ გამოგონებულად ანდა ლამაზ ზღაპრად ნათქვამად მიგვაჩნია.

მეცნიერებსაც კარგად ვიცნობ, რისი მატერიალური, ხელმოსაკიდი (ხელით შესახები) ფაქტი არ არის, ის ადვილად ექცევა შეთხზულის ლეგენდობის კატეგორიაში.

თუ არა და მოგთხოვენ ისარს და ხოხბის ძვლებს.

სიტყვა გამიგრძელდა, სინამდვილეში სულ სხვა ამბავი, უკაცრავად ჩემი შეთხზული ლეგენდა გიამბოთ დედამიწაზე.

ძალიან ადრე მხოლოდ ერთი ცოცხალი არსება იყო სამყაროში რომელსაც ჩვენ დღეს დედამიწას ვეძახით.

ერთხელაც მობეზრდა დედამიწას მარტო ყოფნა და გააჩინა თავის უბეში ცოცხალი არსებები. ნახა რომ სიცოცხლე ლამაზია. დაიწყო ტყბობა დედამიწამ მისი მშვენიერებით და უმატა თავის შემოქმედებას, მაგრამ ხუთი დროის მერე მოვიდა ავი ქვა და აგავა ყოველი ქმნილება მისი, აქცია დედამიწა ცარიელ ქვად. დაღონდა დედამიწა, ახლიდან მოიკრიბა ძალადა ეხლა შექმნა არსებანი უზარმაზარნი რომელთა ზომით ზევით ცას ფარავდნენ და დაბლა მიწას, თითქოსდა მათი მომრევი არ

უნდა ყოფილიყო სამყაროში, მაგრამ გავიდა კიდე ხუთი დრო და კვლავ მოვიდა ავი ქვა და დასცა დედამიწას. კვლავ აღიგავა მიწისა ზედა სიცოცხლე და ვერაფერი იღონეს უძლეველმა ურჩხულებმა, რადგან აზრი და ფიქრი არ იყო მათში. ისევ იქცა დედამიწა ქვად. ისევ მოიკრიბა ძალა დედამიწამ და შექმნა არსება საშუალო ზომით და მოაზროვნე, რათა გაეგო ავი და კარგი, გაეგო ცის და მიწის, ყველაფერის მნიშვნელობა. საბოლოოდ გადაერჩინა თავიც, დედამიწაც და სიცოცხლეც, მაგრამ ეს არსება აღმოჩნდა ხარბი და გაუმაძღარი, თვითონვე ყველაფრის გამანადგურებელი: ხის, ზღვის, წყლის, ცხოველების, თევზების, ფრინველების,

თავიანთი თავისაც კი. თვითონ ეს გონიერი არსება აქცევს დედამიწას ქვად. დედამიწა ითმენს. შეასრულებს კი ეს არსება იმ მისიას რისთვისაც შეიქმნა. დაიცავს კი ადამიანი „დედამიწის კიბოდ“ წოდებული, ავი ქვისგან სიცოცხლეს დედამიწაზე?

სიცოცხლეს რომელიც ისედაც ანადგურებს თვითონ.

ანდა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას მაინც შესძლევს?

ითმენს დედამიწა, შიშობს დედამიწა, ელოდება დედამიწა.

დრო კი იწურება.....

თამარ მეფე
რატომ იყო დიადი და უძლეველი საქართველო?

– სალოცავად მისულნი ფიქრობდნენ, ნეტა ვინ არის ეს მშვენიერი! ნეტა ასეთი რა გასჭირვებია, რომ ასე ფეხშიშველი, დაჩოქილი, მოწიწებით დილიდან ლოცულობს.

ბოლოს ერთმანეთს უჩურჩულებდნენ.

– ეს თამარია! მეფე საქართველოსი.

მის უბრალოდ ჩაცმულობაშიც კი ჩანდა მისი ბრწყინვალება.

საქართველოზე ლოცულობს, ერზე ლოცულობს, ჩვენს შვილებზე ლოცულობს,

ჩვენზე ლოცულობს – ამბობდნენ დიაცნი.

და იყვნენ მშვიდად რადგანაც ჰყავდათ შემწე, მფარველი და მათზე მლოცველი.

ხოლო მამაკაცნი, ამის გამგონე და შემხედვარე, რაც არ უნდა ბეჩავი, მშიშარა, და ლაჩარი ყოფილიყო, ლომად ექცეოდათ გული. მეფის ლოცვით მიღებული მადლის ზიარების სურვილი, ყოველგვარ შიშს აშთობდა.

ისიც კარგად იცოდნენ რომ, ბრძოლაში დაჭრილებსაც თვით თამარი ედგა თავზე და ნაჭრილობებსაც თვითონ უხვევდა. მწყურვალს წყალს ალევინებდა, ხოლო გმირს ისე დასტიროდა როგორც საკუთარ ძმას და შვილს.

ხოლო ვაჭარნი, ხარბნი, გულგრილნი, მხოლოდ აღებ მიცემაზე მოფიქრალნი, თავისივე სიმდიდრის მონები.

შემხედვარე მეფის თავმდაბლობისა, შემწეობისა, უბრალოებისა – თვითონაც ქველმოქმედნი, გულმოწყალენი ხდებოდნენ.

გამოჯანმრთელებულები, გათავისუფლებულები ფულის მონობისაგან, უფრო მეტად ხიბლავდათ ქველმოქმედება, თვით შემოსავალიც უფრო ემატებოდათ თანაც დამატებით სულიერ სიმშვიდეს, კეთილგანწყობას იმსახურებდნენ, ისინიც ხდებოდნენ ლოცვის ზიარნი და მათზეც გადმოდიოდა მადლი.

გუშინდელ ხარბს უკვე თავაწეულს, მხრებში გაშლილს შეეძლო ევლო და ზურგს უკანაც მშვიდად იყო ყოველგვარი ავი სიტყვისგან თუ ქცევისგან.

და იყო ქვეყანა იგი ლაღი, მშვიდი და უძლეველი, რამეთუ ლომი იყო კეთილ – ვითარცა ცხვარი და ყოველი ცხვარი იყო მსგავსი ლომისა.

.....

წყალი მხოლოდ ზევიდან ქვევით მიედინება და არა ქვევიდან ზევით.

ასევეა წყალობა და მადლი, მხოლოდ ზემოდან წამოსული წყალი გაწმენდს ქვევით მყოფნთ და გააცლის ტალახს.

დღევანდელი გაუკუღმართებული ცხოვრება პირიქით ითხოვს, რომ ქვევიდან ზევით მივცეთ წყალობა და მადლი. მონდომებისდა მიუხედავად ქვემოდან ზემოთ მხოლოდ შხეფები აღწევს და რაც ზემდგომი უფრო შორსაა ერისგან, მით ნაკლებად აღწევს წვეთები, იმდენად ნაკლები, რომ ზემოთმყოფს პირის დასაბანადაც არ ყოფნის და უკან ჭუჭყი გვიბრუნდება. ამიტომ დავჭაობდით, გავტალახიანდით და მოყვასს ჭუჭყიანს რომ ვხედავთ, დახმარების მიზნით გასაწმენდად წყალს ვასხავთ,

მაგრამ ჩვენ თვითონ რომ არა გვაქვს წყალობა და სისუფთავე გვავიწყდება ეს. საბოლოოდ მოყვასის გაწმენდის მაგივრად მის მიმართაც ტალახის სროლა გამოგვდის!..

პავლოვიჩის სასამართლო

დღეს დიდი დღეა! ამ რესტირანში ავღნიშნავთ პავლოვიჩის: საუკეთესოკოლეგის, ერთგული მეუღლის, მზრუნველი ნათესავების, მფარველიმეგობრების, ბრწყინვალე ადამიანის ჩვენს უნივერსიტეტში რექტორადდანიშვნას.

ქეიფი დასასრულს უახლოვდებოდა, სუფრა უკვე აშლილიყო...

მარინე გენაცვალე დაუბრუნდი სუფრას – გაისმა რესტორნის ეზოშიპავლოვიჩის ხმა

ეხლავე პავლოვიჩ, აქ ვიღაც მოხუცია, კიბეზე ზის და წყალი მოვუტანე მგონიცუდადაა.

შეეშვი, ალბათ გამოტყვრა, ვიღაც ბომჟია, მიხედავენ. წამო წამო.

შენ კი ერთი თვეა რაც ასისტენდ ლაბორანტად მუშაობ და რამდეჯერ გითხრავახტანგი დამიძახე, შენთვის უბრალოდ ვახტანგი ვარ და არა ბატონი ვახტანგი.

მუსიკა, ცეკვა, დასარტყამი ინსტრუმენტის ბრაგუნი, ... სირენა. სასწრაფო.

– სად ვარ მოვკვდი?

– სხეულს გრძნობ?

– კი.

– ესე იგი არა.

– შენ ვინ ხარ?

– შენი მეგზური.

– სად მივდივართ?

– დღეს შენი მოსმენაა, აი იმ შენობაში, წვერი რომ არ უჩანს ბოლო სართულზე.

კარგი და კეთილი სახელი გაქვს ქვევით მიწაზე – გაისმა ხმა

მოწყალებას გასცემდი,

მეგობრებს ეხმარებოდი,

ნათესაობაშიც პირველი იყავი, მატერიალურადაც გვერდზე ედექი.

რა პრეტენზია გაქვთ? რატომ გინდათ რომ წაიყვანოთ – მიმართა ხმამ იქვემდგომ შავი ატლასსის კაპიშონიან მატერიას, მატერიას რადგანაც არც სახე დაარც სხეული იყო მასში.

იმიტომ რომ ჩვენია, რასაც აკეთებდა თავის გულისთვის და არა სხვისისიყვარულის გამო.

მოწყალებას გასცემდა როცა გვერდით შეყვარებული ან ვინმე ჰყავდადამნახავი.

მეგობრებს ეხმარებიდა, რომ თავისი სტატუსი და მდგომარეობაგაემაგრებინა, შიშით და რიდით მოპყრობოდნენ.

ნათესავებსაც გვერდზე ედგა თავისი ამპარტავნობის დასაკმაყოფილებლად, მათი სიყვარულის და პატივისცემის საყიდლად.

– აგერ მეგზურს კითხეთ სამჯერ დაეხმარა და სამჯერვე როგორ მოექცა.

– დამეხმარა? გაოცებით აღმოხდა კითხვა პავლოვიჩს და მეგზურს დააკვირდა.

მეგზური კაცის ტანიდან დადნა და პატარა ბიჭად ბურთით ხელში გადაიქცა.

მე შენს გაბზარულ შუშას ბურთი ვესროლე და გავტეხე, რადგანაც მეორე დღესშენი პატარა შვილი მაგიდაზე ამძვრალი ხელის ტყაპუნს დაუწყებდაგაბზარულ შუშას, შუშა გატყდებოდა და უბედურება დატრიალდებოდა, შენგამოვარდი მლანძღე ყურის ამიწიე და ბურთიც დამიხიე.

მეორეჯერ – თქვა მგზავრმა და ნაცემ სტუდენტად გარდაისახა, როდესაცახალი ვოლგა იყიდე, ინსტიტუტის ეზოში დააყენე ახალგაზრდა ბიჭებმასაბურავის მოპარვა დადაწყვიტეს უკანაც მოხსნილი ქონდათ რომ მივადექი, კარგად მცემეს და დამაგდეს ის საბურავიც მე მივაყენე უკან.

– ვიცი რაც გაიფიქრე და გიპასუხებ: ადამიანის სხეულით ადამიანის ძალისპაატრონები ვართ, მიწაზე.

ხოდა როცა შენს ლექციაზე დაგვიანებული დავბრუნდი დასვრილი, ნაცემი, შენ ყვირილი, ლანძღვა დამაყარე და გამაგდე აუდიტორიიდან, იმის მაგივრადგეთქვა შვილო რა გაგჭირვებიაო.

– გასაგებია! კარგი თუ აქვს რამე უანგაროდ გაკეთებული? – გაისმა ხმა

კი აქვს – უპასუხა მეგზურმა

ერთხელ სურსათის მაღაზიაში, პავლოვიჩის წინ მოხიცი ქალი პურსყიდულობდა, ბევრი ეძება ფული მოხუცმა, ბოლოს თქვა დაღონებულმა ალბათდავკარგე სადმეო.

პავლოვიჩმა უთხრა დეიდა თუ შეურაწყოფად არ მიიღებ მე გადავიხდი თქვენსმაგივრადო.

გაიხარე შვილო, უფალი იყოს შენი შემწე – დალოცა მოხუცმა.

დღემდე ის მოხუცი იხსენებს ამ შემთხვევას და ლოცულობს „გაახარე მისიოჯახიო“

– ეგეც იმიტომ გააკეთა, გამზრდელი ბებია გაახსენდა და მისი სიყვარულითჩაიდინა – თქვა შავმა

ბებია გაახსენდა თუ ბაბუდა, სიყვარულით გააკეთა, უანგაროდ, ამსიყვარულში ანგარებას ვერ ვხედავ, ამიტომ მადლის სასწორზე დაიდება – თქვახმამ

მერე მგზავრს მიმართა – რას იყტვი?

მე ვფიქრობ, უნდა მიეცეს შანსი განაგრძოს ცხოვრება მიწაზე.

კეთილი გააცილეთ, დააბრუნე უკან. – თქვა ხმამ.

უკანა გზაზე პავლოვიჩმა ჰკითხა მეგზურს, დიდი ფინნსური დახმარებეიგამიწევია და ერთმა პურის ფულმა როგორ გადაწონა სიმძიმით?

სიკეთესაც თავის წონა აქვს. დიდი ანგარებიანი სიკეთე, დიდ გაბერილ ბუშტსგავს, დიდია მაგრამ მჩატე, ხოლო მცირე მაგრამ სიყვარულით უანგარო სიკეთე – ოქროს გავს პატარაა და მძიმე, საბოლოოდ სასწორის სიკეთის პინზე ბუშტზემეტად მცირე მაგრამ მძიმე უფრო ფასობს.

მესამეჯერ როდის იყავი ჩემს გვერდით? როდესაც დაგამცირე? – მირიდებითთავდაღუნულმა პავლოვიჩმა კითხა მგზავრს.

რესტორნის წინ რომ ვეგდე „ბომჟი“ კიბეზე, მარინემ წყალი დამალევინა დასასწრაფო გამოვაძახებინე წინასწარ შენთვის თორემ ვერ მოგისწრებდნენ ერთისაათი დაიგვიაბდნენ, ვერავინ შეამჩნია, იმწუთასვე აქ იყო სასწრაფო, გულმაშეტევა რომ მოგცა.

აბა კარგად.

პულსი..? გული..?

განმუხტვა....

პი.. პი... პი.. გადარჩა მგონი გამოძვრა....

თვალები გაახილა პავლოვიჩმა, მიწიერი შუქი არ ესიამოვნა,

„ბომჟი“ დაილუღლუღა და ჩაეძინა.

ექთანებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს.

„უზენაესის ტახტის წინაშე, კაცი თავისი საქმნით კი არ განისჯება, არამედ მისი მიზნებით, რადგან ღმერთი კითხულობს ჩვენს გულებს“ – **მაჰათმა განდი**

ფიქრები, სად ვართ.....

ყოველ ღამე ვიძინებთ, ყოველ დღე ვიღვიძებთ, ძილშიც ალბათ სიცოცხლის ერთ ციკლს გავდივართ.

..... ალბათ სიზმარია ეს ყველაფერი, ერთი დიდი სიზმარი.

აგერ გუშინ არ ვიყავი პატარა ბიჭი? მხიარული, უდარდელი, დინჯი.

რა მალე გასულა სიზმარი. ესენი ვინ არიან? ჩემი შვილები? რა მალე გაზრდილან!

თითქოს ჩემთან არც უცხოვრიათ, სულ მინდოდა დამეჭირა მათი პატარაობა, გაუმაძღრად მეფერა, მაგრამ სიზმარია ეს და ყველაფერი სწრაფად მიდის.

ვერც ვერავისთან მოფერებას და სიყვარულს ვასწრებ – აქაც გაუმაძღარი ვარ.

ბევრი შემაყვარა ირგვლივ ამ სიზმარმა, თუმცა ბევრი მიდის ნაადრევად.

ამ სიზმარში ამბობენ იცვლებიანო, თანაც ყველა თავის დროზეო, ალბათ ზოგს პატარას გამოეღვიძა, ზოგს დიდს, ზოგს მოხუცს.

ზოგი ვარდნამ, ზოგმა ტყვიამ.....

ზოგს ომი ესიზმრება, ზოგი კი ათასნაირი საშინელებისაგან შეშინებულებს ეღვიძებათ. ზოგი ვერ უძლებს თავის ცუდ სიზმარს და თავს იღვიძებს, ჩვენთან თვითგაღვიძება ცოდვაა, ამ სიტყვას კიდევ ერთი სიტყვა ჰგავს ძალიან „ცოდოა“ და ეს ადამიანებიც ცოდოა, რადგან თავიანთი სიზმარიდან გამოსავალი გაღვიძებაში ჰპოვეს. ბევრი სხვას სიზმარში აშინებს და ბოლოს თვითონაც ეშინია იმ სხვისი თავის სიზმარში.

უმეტესობას ერთი მიზეზით გვეშინია გაღვიძების, იმიტომ რომ არვიცით, როდესაც გავიღვიძებთ იქ ვინ ვიქნებით, იქ რა გველის, იქნებ საკანი, ტკივილი, დარდი, ამიტომ ვებღაუჭებით სიზმარს. რაც არ უნდა ცუდი იყოს ეს, გვიჭირს მისი დატოვება. არცოდნის შიში ყველაზე დიდი შიში ყოფილა აქ. იქნებ ეს ცუდი სიზმარი კარგ სიზმრად გვექცია? კეთილ თავგადასავლიან ლამაზ სიზმრად? რატომ უნა ვიყო ცუდი შენს სიზმარში მე? ან შენ ჩემს სიზმარში? სიზმარში ხომ ყველაფერია შესაძლებელი: ფრენაც, ცურვაც, სასწაულებიც.... ბევრს სიზმრის მართვაც შეუძლიათ, ბევრს ვერა. ნეტა იქ გაღვიძებისას როგორები

ვართ? ასეთივეები თუ უკეთესები? იქნებ უარესებიც!.....

.... არა ეს სიზმარი არაა... ეს ჯოჯოხეთია.

ჩვენს სულებს ეს მატერია სხეულად წოდებული ჩამოაცვეს, დასჯილები ვართ ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. მატერიის, სივრცის და დროის შუალედში ვიწნეხებით, აწი ველარ დავფრინავთ, დატყვევებულია ჩვენი სული.

ნელ-ნელა მატერია ჩაცმული სულიც მივივიწყეთ, ჩვენს სხეულს დავუთმეთ მეტი პატივი და ყურადღება, დრო გვკლავს და სივრცეს გავცქერით, თითქოს ჩვენს წარსულს ვეძებთ, ჩვენს თავს ვეძებთ იქ უსასრულობაში. ჩვენში ორი მე-ა! სულის მე და სხეულის მე. სულის მე ნელ-ნელა მივივიწყეთ და სხეულის მეს ვუგდებთ მარტო ყურს და მისი მონანი ვართ, „მონანი-ება“ – ეს სხეულის მონობისგან მატერიალურისგან გათავისუფლებას ხომ არ ნიშნავს? ანდა თუ ჩვენივე სული ჩვენვე დავივიწყეთ, რატომ უნდა ახსოვდეს იგი ზევით ვინმეს? თუმცა ახსოვთ, ჩვენც გაგვახსენეს, ჩვენი სულების სახსნელად, სხეული ჯვარცმული და სული ამაღლებული ვიხილეთ.

ჯოჯოხეთია ეს, როგორი სულწასულები ვართ, როგორ გვიყვარს როცა ვიღაცა ვარდება, როგორ გვშურს როცა ვინმე გვჯობნის, ზემოთ ოდნავ აწეულის ხომ უნდა ვსტაცოთ ხელი და ჩამოვაგდოთ უკან ჭაობში, მერე ფეხიც დავადგათ და ჩვენ ავიწიოთ, მაგრამ გვავიწყდება რომ ჩვენს უკან ჩვენნაირია და ეხლა ის გვტაცებს ხელს და ჩამოგვაგდებს უკან ჭაობში. ამ ჯოჯოხეთში ზოგნი უარესი ჯოჯოხეთით გვაშინებენ, განა შეიძლება შეიყვარო სხვა შიშით, ანდა კეთილი გახდე სხვა ჯოჯოხეთის შიშით? არა! არ მინდა ასეთი სიყვარული და ასეთი სიკეთე, რომელიც შიშისგან არის გამოწვეული, უკუნეთის შიშისგან, ეს თვალთმაქცობაა, ფარისევლობაა. ვერავის ვერ მოვატყუებთ ამით, მარტო საკუთარ თავს ვახვევთ მცდარ ილუზიას რომ კეთილები და კარგები ვართ, თვითონ სულს უნდა უხაროდეს სიკეთე და სიყვარული რომ ცხონდე.

უნდა შევიცვალოთ! ჩვენი სული ჩვენვე უნდა გავათავისუფლოთ სხეულის მონობისაგან, ეს ძალიან ძნელია, ეს ძალიან მძიმე ბორკილია, მაგრამ არა შეუძლებელი რომ ვერ გავწყვიტოთ, უნდა გავიხსენოთ მხოლოდ, რომ ეს მხოლოდ ჩასაცმელია, რომელიც ცვდება, ძველდება, იხევა. ეს მხოლოდ ჭურჭელია, რო-

მელიც ხშირად ტყდება წყაროზეც, ისიც უმეტესად ცარიელი.

ერთმანეთი კი არ უნდა მოვქაჩოთ ქვევით, არამედ უნდა მივეხმაროთ და ზევით ავწიოთ. მერე ვიგრძნობთ როგორ აიწევა და შეფართხალდება ჩვენივე სული. აი სად არის ხსნა და გამოსავალი.

წელიწადში ერთხელ იხსნება ცა და ანგელოზი ჩამოუშვებს თავის ნათელ ფრთას და ღირსეულთ გაათავისუფლებს მძიმე სხეულისაგან.

– არაა.. ეს თამაშია..... დიდი თამაში..

ამ თამაშს ჭადრაკი ქვია... დიდი ბრძოლის დაფით.

აქ, ამ ველზე ბრძოლა მიდის, დაუნდობელი ბრძოლა, თეთრებსა და შავებს შორის.

ბრძოლის ბედიც გადაწყვეტილია თავიდანვე „თეთრები იწყებენ და იგებენ“

თეთრები რომ იწყებენ ვიცით, ყოველთვის ასეა.....

...zzzZZZ.....

– მაგასაც გეტყვით.....

მერე რა, რომ შავებიც იგებენ... თუნდაც ხშირად. ბოლო ბრძოლას, ბოლო თამაშს თეთრები იგებენ. აი ეს არის უკვე გადაწყვეტილი.

ჩვენ კი ფიგურები ვართ, პაიკები, მხედრები, ვეზირები. ყველას ჩვენ-ჩვენი წესი და გზა გვაქვს, მაგრამ განა ვწყვეტთ რამეს ამ თამაშში? ზემოდან ნების გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ ვდგამთ, თანაც თამაშიდან გასულებს აღარავითარი ტიტული აღარ გაგვაჩნია, ყველანი თანასწორი ვართ, ერთად მოთავსებულნი.

ერთი საინტერესო წესი აქვს ამ თამაშს, მხოლოდ პაიკს ყველაზე უბრალოს, მცირეს, დაბალს, თავ-მ-დაბალს შეუძლია კიდეს მიაღწიოს და სახე იცვალოს, გაბრწყინდეს, ასებიც ბევრია: ექვთიმე, ნიკალა, აბო, ილია, ტერენტი.....

– არაა ეს ცხოვრებაა, რეალობაა....

.... თუმცა რაც არ უნდა იყოს რა მნეშვნელობა აქვს?, მაგით არაფერი არ იცვლება.

მართალი, სწორი და ჭეშმარიტი ერთია ყველგან, საკეთებელიც ერთია მხოლოდ!

სიკეთე! არა ნაძალადევი, არა გასამჯელოს მომლოდინე, – არამედ უ-ბრალო.

IგავI-არაკI – ღამურას არჩევანI.

იყო ერთი ღამურა, თუმცა ამ ღამურას თქვენც კარგად იცნობთ, ერთდროს წრუწუნა რომ იყო წუწუნეთის მხარედან.

ერთ მშვენიერ დღეს ღამურას გამოეცხადა კეთილი ჯადოქარი და უთხრა:

– აირჩიე ღამურა, გინდა თაგვად გადაგაქცევ და გინდა სრულფასოვან ჩიტად, მაგრამ სანამ გადაწყვეტილებას მიიღებ, მოიარე შენი ყოფილი ადგილსამყოფელი წუწუნეთი, მერე ჩიტების სამყოფელი სასირეთი და მერე მიიღე გადაწყვეტილება.

– აჰა ეს თოკი და ბუმბული, როცა ძირს ჩახვალ ეს თოკი შემოიხვიე წელზე და ვერავინ გიცნობს, ხოლო სასირეთში ეს ბუმბული გაიკეთე თავზე და ტანიც ბუმბულით შეგემოსება.

გამოართვა ღამურამ, დიდი მოწიწებით მადლობა გადაუხადა და ქვევით დაეშვა თავისი მოყვასების მოსანახულებლად. წელზე თოკი მოიხვია და ბუმბულიც საგულდაგულოდ დამალა.

– შემოეხვივნენ თაგვები სტუმარს, გამოკითხეს სადაური იყო და საით მიდიოდა.

– მგზავრი ვარო უპასუხა წრურუნამ ქვეყნიერების ამბები მაინტერესებს, როგორ ცხოვრობთ? რას აკეთებთ? რა გიჭირთო. გარშემო შემოუსხდნენ წრუწუნას და დაიწყეს თავის ქება: ისეთი მშრომელები ვართ, დღედაღამ ვშრომობთ, მერე როგორი ერთმანეთის გვერდზე დგომა ვიცით, როგორი ერთმანეთის გატანა, ჩიტებს კი არ ვგავართ უსაქმოდ რომ დაფრინავენ და ზემოდან მოსაქმების მეტს არაფერს აკეთებენ, დაბლა დაშვებასაც კი უკადრისობენ. აი იმ სახლის რაფას ხომ ხედავ, იმის ქვევით არც ჩამოდიან. ამისთქმა იყო და საიდანღაც გამხმარი ლორის ნაჭერი ჩამოვარდა და იქვე ახლომახლოს დავარდა. იხუვლეს თაგვებმა, სულ დაავიწყდათ სტუმარიც და თავმოყვარეობაც. ვინ ვის გადაახტა, ვინ ვის ჩაუხტა. ვინც მოასწრო ხომ ჩაავლო კბილი, ვინც ვერა მათ დაუწყეს კბენა მეც გამატარეთ და კბილი ჩამასობინეთო. თაგვებს აღარც ერთობა გახსენებიათ და აღარც ერთმანეთის გატანა. ბოლოს ორმა მოზრდილმა ვირთხამ იმარჯვა და გააცუნცულა ნადავლი.

– დაღლილ-დაგლეჯილი და ჩალაგამოვლებული თაგვები დარჩნენ და ზევით დაიწყეს მზერა იქნებ კიდევ მომხდარიყო საოცრება,.

– ღამურა გაოცებული უყურებდა ზეცისკენ მეოცნებე თვალებით მომზერალ თაგვებს, მათ აზრებსაც კი ჩასწვდა. თვითეული მათგანი ოცნებობდა ფრთებზე, რადგან სჯეროდათ, რომ ცაში ლორით და სხვადასხვა ტკბილეულით სავსე ტომარა იყო ჩამოკიდებული, მისასვლელად კი მხოლოდ ფრთებიღა იყო საჭირო.

ჩუმად დატოვა ღამურამ იქაურობა, თუმცა აღარავის ახსოვდა ის.

მოდი ეხლა სასირეთს მოვინახულებ, იქნება ჩიტები მაინც ცხოვრობენ ღირსეულადო გაიფიქრა ღამურამ. მოიხსნა წელიდან თოკი, ამოიღო უბიდან ბუმბული, დაიმაგრა თავზე და ტანიც უმალ შეემოსა. შემოჰკრა ფრთები და აიჭრა ცაში, იქაც რამოდენიმე ხანი დაჰყო. შემოიფრინა ყველა ალაგი, ბევრი ნახა, ბევრი გაიგო და მიხვდა რომ ჩიტების ცხოვრებაც არ ყოფილა ისეთი ლამაზი და უდარდელი როგორც დაბლიდან ჩანდა: ერთმანეთის მტრობა, ღალატი, ბუდეების მოშლა და ბარტყების გადმოყრა, სხვის ბუდეში კვერცხის დებაც კი მისაღები გამხდარიყო.

არც აქ ყოფილა ჩემი ადგილიო – გაიფიქრა ღამურამ. მოიშორა თავიდან ბუმბული, გადაიქცა ისევ ღამურად და თავის კლდის ნაპრალისკენ გაფრინდა. იქ ჯადოქარი დახვდა და ჰკითხა ღამურას:

– რა ქენი ღამურავ, გააკეთე არჩევანიო?

ღამურამ უპასუხა:

– უღირს ვირთხობას და სამარცხვინო ჩიტობას ისევ ღამურობა მირჩევნიაო.

ამბავი ნავისა!
(ანუ როგორ გადავაქციოთ ფსევდო დისკრიმინაცია პრივილეგიად)

ვისაც ყური აქვს ისმინოს,
ვისაც თვალი აქვს დაინახოს,
ვისაც გონი აქვს მიხვდეს!

ესე ამბავი 21-ე საუკუნის გარიჟრაზე მოხდა როდესაც 2000წლის აპოკალიფსის მოლოდინი მშვიდობით დამთავრდა, თუმცა ეს ამბავი დღესაც გრძელდება და თუ რატომ ახლავე მოგახსენებთ.

დემოკრატიის მამებმა 21 საუკუნის დასაწყისის აღსანიშნავად გადაწყვიტეს ამერიკულ ხომალდზე მოეწყოთ შეხვედრა და განეხილათ საკითხი „მსოფლიო დემოკრატია და მისი საფუძვლები“, „გენდერული თანასწორობა“ შეუწყნარებლობა და რელიგიური ექსტრემიზმი;, . სადაც იყვნენ 161 ქვეყნის წარმომადგენლები.

სამწუხაროდ ხომალდი გაურკვეველი მიზეზის გამო ჩაიძირა და სამაშველო ნავზე მოხვდნენ ზანგი, არაბი, ამერიკელი, ჰოლანდიელი, ებრაელი, ქართველი და გემის ბოცმანი.

იმის გამო რომ ნავი მხოლოდ 6 კაცს იტევდა და ერთი ზედმეტი იყო დაიწყეს ბჭობა თუ ვის უნდა დაეტოვებინა ნავი.

ზანგის გადაგდება ნავიდან თავიდანვე გამოირიცხა რადგანაც გემი ამერიკული იყო და ზანგის გადაგდება რასიზმის გამოხატვა იქნებოდა, ამასთანავე ზანგი საფრანგეთის მოქალაქე და წარმომადგენელი აღმოჩნდა. არჩევანი არაბზე მიდგა აქაც წინააღმდეგობა გარდაუვალი აღმოჩნდა რადგან ნავში ერთადერთი მუსულმანი იყო და მის გაწირვას მუსულმანური სამყარო დიდ დანაშაულად აღიქვამდა და ისიც ევროპის კერძოდ გერმანიის მოქალაქე აღმოჩნდა, ამერიკელი რელიგიური უმცირესო-

ბის წარმომადგენელი აგმოჩნდა, ჰოლანდიელი სექსუალური უმცირესობის, ებრაელიც მალევე გამორიცხეს არავის უნდოდ აანტისემიტიზმში ან ფაშიზმში დაედანაშაულებინათ, ჯერი გემის ბოცმანიზე მიდგა, რომელმაც გასცა თავისი საიდუმლო და აღიარა რომ ქალია რომელსაც ორი ათეული წლის წინ ქონდა გაკეთებული ოპერაცია რომ კაცი გამხდარიყო, ამოტომ მისი მდგომარეობა გასათვალისწინებალი იყო.

ეხ, მიხვდა ქართველი რომ მარტო ის იყო კაცი, ქართველი მართლმადიდებელი და სხვა „საპატიო“ მიზეზი არ ქონდა რა, ამიტომ „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა“ უფრო სწორად გადაგდებას გადახტომა, მიხვდა მარტო ღმერთის და საკუთარი მკლავების იმედად იყო დარჩენილი, ადგა და თავისი ნებით გადახტა ნავიდან და გაცურა კუნძულის ნაპირისკენ რომელიც სადღაც 3 კმ იყო.

როგორც შემდგომ აღმოჩნდა კუნძული ეკუთვნოდა ერთ-ერთ (არაქართველ) მილიარდელს, რომელიც ამავე პერიოდში, ორი კვირით, თავისი სამეგობრო წრესთან და თვრამეტ ლამაზმანთან ერთად უნდა დაესვენათ, სამწუხაროდ მეგობრები ერთი კვირაა არ ჩანდნენ. ასე რომ, როდესაც კუნძულის მეპატრონეს მოახსენეს გამორიყული ქართველის შესახებ ძალზედ გაიხარა და საპატიო მასპინძლობაც გაუწია.

ხო მართლა ნავში მჯდომთა ბედი გაინტერესებთ? ეგ ნავი ეხლაც ზღვაშია და მაშველებს ელიან, რადგან ვერ გადაწყვიტეს ნიჩბები რომელმა მოუსვას რო მისი დისკრიმინაცია არ მოხდეს არც რელიგიურ, რასისტულ და არც სხვა რაიმე ორიენტაციის გამო.

მეფისტოლი და მა[]ხოვარი

იყო ერთი ბოროტი და მდიდარი მართველი,მეფე არ იყო თუმცა მისი ხელქვეითნი სიმდიდრისა და ძალაუფლების გამო მეფისტოლს უწოდებდნენ. ასე მართავდა უდარდელად მრავალი წელი.

ერთ წელს ვეზირები ეახლენ მმართველს და მოახსენეს:

ვიღაც მა[]ხოვარი, ხალხს თვალებს უხელს და მართალი სიტყვით საუბრობს.

მეფისტოლო გვიბრძანეთ როგორ მოვიქცეთ?

წადით, ყველა დასაჯეთ ცეცხლით და მახვილით, ვინც ყური უგდო და ისმინა, ვიცაც კი თვალნი აეხილათ.

წავიდნენ დასაჯეს ყველა, სისხლის გუბეები დააყენეს და დაბრუნდნენ მმართველთან.

-ბრძანებელო შევასრულეთ თქვენი ბრძანება, მაგრამ 10 რომ დავსაჯეთ 10ათას აეხილა თვალი და 100 რომ დავსაჯეთ 100 ათას.

ეხლა რას გვიბრძანებთ როგორ მოვიქცეთ?

წადით, აუხვიეთ თვალნი და მოუდუნეთ გონება, გაავრცელეთ ხმები რომ მე არა ვარ, არც ბოროტება არის და თუ ბოროტება არ არის არც მასთან ბრძოლაა საჭირო, დაარწმუნეთ რომ აწი არც მხსნელია საჭირო.

წავიდნენ ვეზირები; გაავრცელეს ხმები როგორც მეფისტოლმა უბრძანა და დაბრუნდნენ უკან შედეგის მოსახსენებლად.

შევაჩერეთ მართალი სიტყვის გავრცელება, მაგრამ მცირედნი მაინც დარჩნენ ვინც ისმინა და თვალნი აეხილათ.

– მაშინ წადით და მიეცით ცოდნა მცდარი, ზღვრული და არასრულყოფილი რომლითაც რაც მეტს ისწავლიან უფრო დაშორდებიან ჭეშმარიტებას და დაიწყონ სიხარულით საკუთარი ბორკილების ჭედვა, რომელსაც დაიდებენ თვითონვე არამარტო

ხელზე არამედ აზრზე და სულზე.

მიეცით საჭმელი რომლითაც ვერ გაძღებიან, მიეცით დრო რომელიც არ ეყოფათ, როგორც ილუზიონისტი გადაატანინებს ყურადღებას ისე გადაატანინეთ ყურადღება საკუთარ სასწაულებზე,რომ ცხვირწინ მომხდარი ჭეშმარიტი სასწაულიც ვერ დაინახონ.

წავიდნენ ვეზირები, შეასრულეს ყველაფერი რაც მეფისტოლმა ბრძანა;

და მიეცათ ხალხს ცოდნა, საჭმელი რომელსაც ჭამენ და ვერა ძღებიან, შოულობენ და სულ არ ყოფნით, ჩქარობენ რომ მოასწრონ, დრო კი სულ უფრო და უფრო არ ყოფნით. ადამიანის თავისუფლების დროშის ქვეშ ამოფარებულებმა დაიწყეს მონდომებით ადამიანთა ბორკილების ჭედვა რომ გააკონროლონ აზრი და დაატყვევონ სული მათი.

მხოლოდ მცირედნი დარჩნენ თვალხილულნი, რომლებიც ეწინააგმდეგებიან, ხედავენ მიზეზს და მოსალოდნელ შედეგს, მაგრამ ვერაფერს შველიან რადგან არ ესმით და არ ეყურებათ მათი.

შვიდი სიყვარული.

ვინც მოყვარე არ შეიყვარა, ის სიძულვილმა მოკლა.

როგორც არსებობს ძირითადი შვიდი ფერი, შვიდი მუსუკალური ნოტი და შვიდიდღე კვირისა, ისევე არსებობს შვიდი ძირითადი სიყვარული. ადამიანი ორმაგი ბუნებისაა, მიმღებიც და გამცემიც, ვინც შვიდივე სიყვარულს შეიცნობს ანუმიიღებს და გასცემს ის ბედნიერია, ამასთანავე საწინდარია გზის 3+4-სა.

აუცილებელი თუმცა არასაკმარისი პირობა.

ვეცდები ადამიანის მიერ განცდილი სიყვარულის თანმიმდევრობას მივყვე.

1. ორშაბათი – დო – დედის სიყვარული.

ეს არის პირველი სიყვარული, დასაწყისი სიყვარულისშეცნობისა. ორშაბათს მძიმე დღეთაც მოიხსენიებენ რადგანაც დასაწყისიაცხოვრების გზის. დოს ლათინური ასოთი C (სი) სიცოცხლის დასაწყისიაღნიშნავენ.

2. სამშაბათი – რე – დედმამიშვილის სიყვარული.

ეს სიყვარული მოიცავს ხორციელი და სისხლით ნათესავისსიყვარულსაც. ბევრ ენაში რე – გამეორებასაც ნიშნავს.

3. ოთხშაბათი – მი – მეგობრის სიყვარული.

არის მოყვასის სიყვარული, შეიძლება სრულიად უცხოც იყოს, მაგრამგიყვარდეს როგორც ძმა და მეგობარი. ლათინური ასოთი E (ერთობა) აღნიშნავენ.

4. ხუთშაბათი – ფა – სამშობლოს სიყვარული.

ალბათ განმარტება არც ჭირდება, თუმცა წინა სამი სიყვარულდან ერთერთიცთუ ვერ შეიცანი ეს სიყვარული არ მოვა. თანაც დამთხვევაა თუ განგება ჩვენიდროშაც ხუთი ჯვრისგან შედგება. მუსიკალური სიმბოლოა F (flag, five)

5. პარასკევი – სოლ – მეუღლის მეორე ნახევრის სიყვარული.

ქალის სიყვარული. გახსოვთ რობინზონის ლამაზმანსაც პარასკევა ერქვა, მაგიტომაც მივაკუთვნე ეს დღე ქალს. (ამ დღეს კიდევ დავუბრუნდებით)

6. შაბათი – ლა – შვილების სიყვარული.

7. კვირა – სი – უფლის სიყვარული.

მუსიკალური სიმბოლოა H (HIGHER) უმაღლესი.

კვირა მე7 დღე უფლის დღეა, თუმცა რიგითობა არ აკნინებს მას, რადგან ის არარის ბოლო დღე, ის შემკვრელია ამ ჯაჭვისა

(წრისა) და ყოველისა, მის გარეშე არ ხდებადაბადება – ორშაბათი, ბევრი ქვეყანა კვირის დღეების ათვლას სწორედაცკვირიდან იწყებს.

(მაგ: Sunday, Monday,....)

დააკვირდით შვიდი სიყვარული სამად და ოთხად იყოფა, სამი მათგანი მხოლობითია ანუ, უნიკალურია და ერთადერთი.

ესენია:

ორშაბათი – დედა

ერთადერთია,

ხუთშაბათი – სამშობლო

ერთადერთია,

კვირა – უფალი,

ერთადერთია.

დანარჩენი მრავლობითია, ნათესავები, მოყვასები, შვილები.

ამ შვიდიდან მხოლოდ ერთს შეაქვს დისონანსი, რა თქმა უნდა პარასკევს,

ანუ ქალს. (აქაც ქალი თავისი გამოუცნობი ბუნებით) ცვლილებას დამერყეობაც ხომ ამ დღეზეა ნათქვამი რამდენი პარასკევი გაქვსო. მეც ვერგადავშყვიტე რომელს მივაკუთვნო მრავლობითს თუ ერთადერთს?

თუმცა არც ისე და არც ასე სამოთხის პრინციპი არ ირღვევა.

ასე რომ ქართველნო, შესვით შვიდივე სიყვარულის სადღეგრძელო ერთსასმისად და უსურვეთ ერთურთს რომ შვიდივე განგეცადოთ.

გფარავდეთ უფალი.

P. S. ჩემდა უნებურად წმინდა ილია მართლის სიტყვები გამახსენდა: „ენა, მამული, სარწმუნეობა“, აქაც სამი საფიცარი და ანალოგი სამი ერთადერთისიყვარულისა

დედა, სამშობლო, უფალი.

დედა – ენა,

სამშობლო – მამული,

უფალი – სარწმუნოება.

სარჩევი

წინასიტყვაობა III
მოკლე ავტო ბიოგრაფია IV

ვენახი 1
ზღვა დაიცალა წვეთ წვეთად იცი?. 2
ვუძღვნი ყველა დროის ფარისევლებს!. 5
ვერ დავიძინებ დედა! 6
შეგონება 8
ტიტანებმა უკვდავება გვაჩუქეს. 10
წერილი, ფიზიკა, თუ არა მეტი (18). 12
რაღაა იგი სინათლე რასაცა ახლავს ბნელია. 14
მიყვარს წარსული, არა გასული და მომავალი. 15
ჩემი ნატვრა! 16
კაცები!. 18
Шამას 20
„გაუგებ არი“ 21
****ხმა**** 21
****აბორტი***** 21
****წრმენა*****. 22
რა გადაარჩენს! 23
ოი, რა ძალა! 24
რატომ??? რატომ!!. 25
უფალო 26
ქართული ცეკვა. 28

ჭიანჭველა მოძღვარს. 29
გამოცანა 30
ახსნა განმარტება! 30
ჩემი ნაფიქრი, აზრი, გამონათქვამი.. 31
კახას კახაბერისგან 32
ორი მახვილი. 33
როცა დასცინი ნა-ხატს! 34
მზე ანათებს თაკარა! 36
*** 37
ჭიჭინაძენი 38
სულხან-საბა ორბელიანის. განმარტებითი ლექსიკონის ამონარიდი . 39
ასო ცის! (3X40=120) 41
“დემო” ვერსია 42
გიო და ნატო NATO+GEO 43
პრეზიდენტს! 44
სამი პატარა გიჟი! 45
დედამიწა 46
(მისტიკა, ლეგენდა) 46
თამარ მეფე. რატომ იყო დიადი და უძლეველი საქართველო? 48
პავლოვიჩის სასამართლო 50
ფიქრები, სად ვართ..... 53
იგავ-არაკი – ღამურას არჩევანი. 56
ამბავი ნავისა! 58
მეფისტოლი და მა□ხოვარი 60
შვიდი სიყვარული.. 62

გამომცემლობა – „კოლორი“

9 789941 049668